# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 1 აპრილი, 2011 წელი.

№60 (6672)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## კრემლი ისევ ულტიმატუმის ენით გველაპარაკება

საქართველო, თბილისი, პრეზიდენტის სასახლე

# თუ მართლა პატრიოტები ხართ და მართლა ხალხსა და ქვეყანაზე ფიქრობთ და არა მხოლოდ ხელისუფლების ხანგრძლივად შენარჩუნებაზე, იმედია, დაეთანხმებით ჩვენს კონსტრუქციულ წინადადებას, და საქართველო ისევ ძველ საზღვრებში აღდგება!..

## ღია წერილი

### საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილს პრემიერ-მინისტრ ნიკოლოზ ზურაბის ძე გილაურს

**პატივცემულო მიხეილ ნიკოლოზის ძევ!**
**პატივცემულო ნიკოლოზ ზურაბის ძევ!**

ეს ღია წერილი ჩვენი კარგა ხნის ფიქრის შედეგია. შეთანხმებულია ჩვენს პარტიასთან — „ედინაია როსიასთანაც" და დუმასთანაც, ასე რომ ეს მარტო ჩვენი, ანუ ორი ადამიანის — პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის აზრი არ არის.

ის მდგომარეობა, რაც ბოლო წლების განმავლობაში შეიქმნა ჩვენს შორის, ჩვენს ქვეყნებს შორის, — პოლიტიკურიც, ეკონომიკურიც, დიპლომატიურიც — რასაკვირველია, მძიმე და არანორმალურია ორივე მხარისთვის, უწინარესად კი მაინც თქვენთვის, საქართველოსთვის, რომელიც ამდენი ხანია ნატოში შესვლისა და დასავლეთის მხარდაჭერის იმედით, პირდაპირ გეტყვით, არ ერიდება რუსეთის ფედერაციასთან კონფრონტაციას, რაც 2008 წლის აგვისტოს ომით დამთავრდა. ამ ომით კი, რომლის წამოწყებასაც ჩენ გვაბრალებთ, მაგრამ მთავარი მიზეზი საკუთარ თავში უნდა ეძებოთ, ყველაზე მეტად თვითონ საქართველო დაზარალდა.

ბუნებრივია, სწორედ თქვენმა არასწორმა ნაციონალურმა პოლიტიკამ მიიყვანა აფხაზები და ოსები იმ აზრამდე, რომ თავიანთი ეროვნული ორიენტაცია რუსეთისკენ მიემართათ. არადა როგორც რუსები, ისე აფხაზები და ოსები საუკუნეთა მანძილზე მართლაც მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობაში ვიყავით ქართველ ხალხთან, გონიერ და გმირ ხალხთან, რომელმაც ჯერ კიდევ თვით სახელგანთქმული თამარ მეფის დროიდან მოკიდებული, მტკიცე მეზობლური და სამოყვრო ურთიერთობა დაამყარა რუსეთის სახელმწიფოსთან (თუმცა ჩვენი პირველი კონფლიქტიც თუ, უფრო სწორად, გაყრა მაშინ მოხდა.).ამ ურთიერთობამ თავისი განვითარების ახალ საფეხურს მიაღწია ცნობილი ერეკლე მეფის ხანაში (რა ვუყოთ, თუ დღეს ფარატინა ქაღალდადაც აღარ გიღირთ გეორგიევსკის ტრაქტატი!) და უკვე მეოცე საუკუნეში, როცა ჩვენს ერთ კავშირად გაერთიანებულ დედამიწის ერთ მეექვსედს დღეს თქვენთვის ესოდენ საძულველი ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები მართავდნენ (რომელთა თქვენ მიერ დანგრეული ძეგლები, ალბათ, ფინანსურად დიდად წაადგებოდა ტურიზმის განვითარებას საქართველოში!).

მზე, რასაკვირველია, ჩრდილოეთიდან არ ამოდის და არც საქართველოსთვის ამოსულა ჩრდილოეთიდან, მაგრამ ჩვენზე არანაკლებ მოგეხსენებათ, რომ იმ მზეს, რომელზედაც ამჟამად ვლაპარაკობთ, არც დასავლეთიდან და, კერძოდ, არც ამერიკის შეერთებული შტატებიდან ამოდის, რომელ დასავლეთსაც და რომელ შტატებსაც თქვენ ასე თავგადაკლულად ეტრფით უწინარესად სწორედ რუსეთისთვის ნიშნის მოგების მიზნით. თქვენი საქმისა, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, თქვენ იცით, მაგრამ ისიც ცნობილი ამბავია, რომ მარტო სხვისი იმედით ყოფნა მაინცდამაინც ბევრს არაფერ სიკეთეს არ იძლევა.

ალბათ, მარტო რუსული გამოთქმა არ უნდა იყოს, რომ სამეზობლოს გაფრთხილება უნდა და კარის მეზობელი იგივე სინათლეა თვალისა. ჩვენ დიახაც ამ სიბრძნით ვხელმძღვანელობდით, როცა თქვენთვის ამ ღია წერილის მოწერა გადავწყვიტეთ...

ბოლო დროს ახლო აღმოსავლეთში მომხდარმა ამბებმა ერთხელ კიდევ დაგვანახვეს, რომ ტირანიით, უსამართლობითა და ძალადობით შელონებული ხალხების რისხვას წინ ვერავითარი ძალა ვერ აღუდგება. ჩვენ ამაზე დღეს ბევრს ვფიქრობთ. ჩვენ გვინდა, რომ თქვენც დაფიქრდეთ ამ არცთუ არასაბედისწერო საკითხზე.

როგორც რუსეთში, ისე, ცხადია, საქართველოშიც, დღეს ძალიან ბევრი მოუგვარებელი პრობლემაა, რომელთა გადაჭრასაც მოითხოვენ ჩვენი ხალხები. ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ უმუშევრობასა და სიღარიბეს ადვილად არ მოევლება, მარტო ყოველდღიური ლამაზ-ლამაზი და ახალ-ახალი დაპირებები საქმეს ვერ უშველის. კაპიტალიზმს თავისი მკაცრი და ულმობელი კანონები აქვს. თუმცა ეს როგორც ჩვენი, ისე თქვენი შიდა საქმეა, რასაც ჩვენ-ჩვენი ძალისხმევა არ უნდა მოვაკლოთ.

მაგრამ არის ერთი მეტისმეტად მწვავე და იქნებ უმთავრესი საკითხიც, რომლის დროული გადაწყვეტა ქართველი ხალხის უპირველესი და სანუკვარი ოცნებაა — ეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხია, რომელიც, ამასაც პირდაპირ გეტყვით, თუ არა ჩვენი, რუსეთის, პოლიტიკური ნება, კვლავ ასე გადაუჭრელი დარჩება და რაც მეტი დრო გავა, სულ უფრო და უფრო გართულდება მისი ნორმალურად მოგვარება. არადა ჩვენი კეთილი სურვილია, სწორედ ჩვენს დროს გადაიჭრას ეს საკითხები და როგორც ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით მოვშალეთ, ასევე ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა კი შემდეგნაირად გვესახება:

1. თუკი ეგრეთ წოდებული ნაციონალური მოძრაობა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით მშვიდობიანად ჩამოშორდება ხელისუფლებას, რუსეთის ფედერაციის ჯარები იმავე დღეს დატოვებენ ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, საქართველოს რუკა აღდგება გასული საუკუნის 90-იანი წლების დროინდელი სახით.

2. ანდა სრულიად განახლებული სამართლიანი საარჩევნო სისტემით გაიმართოს თავისუფალი ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც ამჟამინდელ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად მონაწილეობას მიიღებს აფხაზეთისა და სამხრეთის ოსეთის მოსახლეობაც, რომელსაც უფლება ექნება ტერიტორიულად გაერთიანებულ საქართველოს ფედერაციაში თავიანთი ქვეყნების მეთაურები იხილოს ვიცე-პრეზიდენტებად (ეს საკითხი, რასაკვირველია, ასევე გადაწყდება პირველ შემთხვევაშიც, როცა რუსეთის ფედერაციის ჯარები დატოვებენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს და გაიმართება თავისუფალი, სამართლიანი არჩევნები).

აი, მხოლოდ ასე, ამ გზით გვესახება, პატივცემულო პრეზიდენტო და პატივცემულო პრემიერ-მინისტრო, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ახლა ჯერი თქვენზეა. თქვენი პრეზიდენტობის უკვე რვაწლიან პერიოდში, მიხეილ ნიკოლოზის ძევ, არაერთხელ აღიარეთ თქვენი პოლიტიკური მოღვაწეობის კომპასად საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი მეფისა და სტრატეგის დავით აღმაშენებლის კეთილგონიერება (დაიფიცეთ კიდეც მის საფლავზე, საქართველოს სულ გამარჯვების გზით ვატარებო!..). იმედია, ამჟამად არც საკუთარი კეთილგონიერება გიღალატებთ.

ისე, ურიგო არ იქნება, თუ თქვენს აზრს ამ ჩვენს წერილთან დაკავშირებით წერილობითვე გაგვაცნობთ... თუ არადა, იძულებული გავხდებით, რომ მოთმინებით დაველოდოთ საქართველოში ისეთი ხელისუფლების მოსვლას, რომელიც ბოლოს და ბოლოს ჩვენთან კონსტრუქციულ დიალოგსა და თანამშრომლობას შეძლებს.

პატივისცემითა და თქვენი კეთილგონიერების იმედით

**დიმიტრი მედვედევი,**
რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი,

**ვლადიმერ პუტინი,**
რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი,

მოსკოვი, კრემლი
31 მარტი, 2011 წ.



№ 60. პარასკევი, 1 აპრილი, 2011 წელი.

ვინ — ვის

***საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, ხელისუფლებისა და ოპოზიციის ნაწილის მოლაპარაკებების პროცესი, სავარაუდოდ, ჩაიშალა. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მომუშავე ჯგუფის სახელისუფლებო წევრი პავლე კუბლაშვილი ოპოზიციური „რვიანის“ მიერ მოლაპარაკებების შეჩერებას „სამარცხვინოს“ უწოდებს. ამასთან, იგი ადასტურებს ხელისუფლების მზადყოფნას, პოლიტიკურ პარტიებთან კონსულტაციები ინდივიდუალურ რეჟიმში გააგრძელოს, თუმცა „იმ პარტიებთან, რომლებმაც მოლაპარაკებები ჩაშალეს, რაიმე შეთანხმების მიღწევის ვერანაირ შანსს ვერ ხედავს“. თავის მხრივ, ოპოზიციური „რვიანი“ საკუთარი მოთხოვნების ერთგული რჩება და ხელისუფლებისგან „ადეკვატურ ნაბიჯებს“ ელის. ამასობაში ალტერნატიული პოლიტიკური „რვიანის“ ჩამოყალიბებაზე დაიწყო საუბარი, რომელიც ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს გააგრძელებს. რა მოხდება, თუკი ხელისუფლება მაინც არაფერს დათმობს? როგორია პოლიტიკური „რვიანის“ სამოქმედო გეგმა ასეთი შემთხვევისთვის? — ამ საკითხებზე „პირველი“ საარჩევნო გარემოზე მომუშავე ჯგუფში შემავალი პოლიტიკური „რვიანის“ წარმომადგენელს, „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთ ლიდერ ირაკლი ჩიქოვანს ესაუბრა.***



# ყურით მოთრეული მიზეზები

## საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მოლაპარაკებები ჩაიშალა, პოზიციებს კი არც ხელისუფლება თმობს, არც „რვიანი“

**— ბატონო ირაკლი, როგორც დღეს ცსკ-ში გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენელმა პავლე კუბლაშვილმა აღნიშნა, „რვიანი“ საარჩევნო კოდექსზე მუშაობის პროცესი „სამარცხვინოდ ჩაშალა“. მისი აზრით, ამას ერთადერთი მიზეზი აქვს — ოპოზიციის ახირება, რომ პარლამენტში საქართველოს ყველა რეგიონს საკუთარი წარმომადგენელი არ ჰყავდეს. როგორ უპასუხებთ ამ ბრალდებას?**

— 8 პოლიტიკური პარტიის გაერთიანებას საარჩევნო გარემოს შეცვლის მიზნით მიმდინარე მოლაპარაკებები არ ჩაუშლია. ამასთან დაკავშირებით ჩვენ განცხადება რამდენიმე დღის წინათ გავაკეთეთ და განვმარტეთ, რომ პროცესის გასაგრძელებლად საჭიროა ხელისუფლების პოლიტიკური ნება. როდესაც მოლაპარაკებების მაგიდასთან ჯდები, ერთი მხარის პოზიციაც უნდა იცოდე და მეორესიც. ჩვენ ჩვენი პოზიციები დავაფიქსირეთ, ხელისუფლებამ კი არსობრივად მნიშვნელოვანი წინადადებები, რომლებიც თვისობრივ ცვლილებაზე იქნებოდა ორიენტირებული, ვერ წარმოადგინა. მიუხედავად ამისა, ჩვენ — პოლიტიკური „რვიანი“ 30 მარტის შეხვედრაზეც ვიყავით წარმოდგენილები ლევან ვეფხვაძისა და ირაკლი მელაშვილის სახით.

**— მიგაჩნიათ თუ არა, რომ ეს მოლაპარაკებები ჩაშლილია და გაგრძელების პერსპექტივა აღარა აქვს?**

— იმისათვის, რომ მოლაპარაკება შედგეს და ქვეყანაში თვისობრივად შეცვლილი საარჩევნო გარემო მივიღოთ, ხელისუფლების პოლიტიკური ნებაა საჭირო. თუ ხელისუფლების პოლიტიკური ნება არ იქნა, შეთანხმებებს ვერ მივაღწევთ და... თუ იქნა, ჩვენ, რა თქმა უნდა, მზად ვართ, განვაგრძოთ კონსულტაციები.



**— ბოლო შეხვედრაზე ლევან ვეფხვაძემ ხელისუფლების ახალი ინიციატივა გაახმოვანა, რომლის მიხედვით, მოლაპარაკებები პარტიებთან ინდივიდუალურ რეჟიმში შეიძლება, გაგრძელდეს და „რვიანს“ და ხელისუფლებას შორის შუამავლობას „ქრისტიან-დემოკრატები“ იკისრებენ. აპირებთ თუ არა ახალ ფორმატში მონაწილეობას?**

— ზოგადი პოზიცია ასეთია: ახალი ფორმატების და გამოგონებების აუცილებლობა არ არსებობს, საჭიროა მხოლოდ ხელისუფლების პოლიტიკური ნება. იქნება ასეთი ნება? — ჩვენ მზად ვართ, ძალიან მშვიდად, ამ ფორმატშივე მივაღწიოთ შედეგს.

**— და თუ პოლიტიკური ნება არ იქნა, რა გეგმა აქვს „რვიანს“? გავა თუ არა ის ქუჩაში? პავლე კუბლაშვილმა ეს ვარიანტი უკვე განიხილა და განაცხადა, რომ „რვიანი“ წარმატებას ვერც ქუჩაში მიაღწევს“....**

— როდესაც საარჩევნო გარემოს შეცვლაზე მუშაობის პროცესი დაიწყო, ჩვენ გამოვედით და საზოგადოებას ღიად განვუცხადეთ, რომ ერთხელ და სამუდამოდ ვიბრძვით იმისათვის, რომ ქვეყანაში ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალოს, არჩევნების გზით ხელისუფლების შესაცვლელად კი საჭიროა ნორმალური საარჩევნო გარემო. ეს პროცესიც ამიტომ დავიწყეთ. თუ კი პროცესი ისე დასრულდება, რომ შედეგს ვერ მივაღწიეთ, საზოგადოებასთან გამოვალთ და კვლავ ღიად ვეტყვით, რომ ეს პროცესი უშედეგოდ დასრულდა, რადგან ხელისუფლებას პოლიტიკური ნება არ გააჩნია. ჩვენ ყველა ხერხს მივმართავთ, რომელიც ხელისუფლებაზე საზოგადოების ზეწოლის გამოხატვას უზრუნველყოფს, რათა ქართველმა ხალხმა ერთხელ და სამუდამოდ ნორმალური საარჩევნო გარემო მიიღოს.

**— მიუხედავად საერთაშორისო გზავნილებისა, რომელიც, თქვენი თქმით, საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან ფიქსირდება, ხელისუფლება მყარად დგას თავის პოზიციაზე და არ ცვლის იმ პირობებს, რომელიც ახალ საარჩევნო კოდექსთან მიმართებაში არაერთხელ დააფიქსირა...**

— ვერ დაგეთანხმებით იმ შეფასებაში, რომ დღეს ხელისუფლება მყარად დგას ძველ პოზიციაზე. უბრალოდ, ხელისუფლება ცდილობს, ყურით მოთრეული მიზეზებით გაამართლოს ის, რომ თვითონ შლის პროცესს. ჩვენ პროცესი არ ჩაგვიშლია. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ჩვენ მზად ვართ, ვისაუბროთ საარჩევნო გარემოს ცვლილებაზე მას შემდეგ, რაც ხელისუფლება სერიოზულ წინადადებებს წარმოადგენს.

**ხათუნა გაგნიძე**

დევნილები

## „სუბელიანის პოლიტიკა ხანძრის ქრობას ჰგავს, როცა ალი ქრება, ნაკვერჩხლები კი რჩება!“

**ფოცხო-ეწერში გადასახლებულ (როგორც კობა სუბელიანის უწყებასა და სამთავრობო სტრუქტურაში უწოდებენ ჩასახლებას) დევნილთა პრობლემებზე სახალხო კრების აღმასრულებელმა საბჭომ და დევნილთა კომიტეტის წევრებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. ფოცხო-ეწერში დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების ადგილზე შესასწავლად სახალხო კრების დევნილთა კომიტეტის ახალგაზრდული მოძრაობის თავმჯდომარე ვიტალი გადელია იმყოფებოდა. ვიდეომასალის ამსახველი კადრებიდან ჩანს, რომ დევნილებს გაუსაძლის პირობებში უწევთ ცხოვრება, მათი ჯან-**




**მრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, გარკვეული პრობლემებია შექმნილი საკვებ პროდუქტებთან დაკავშირებით. პრესკონფერენციაზე დევნილთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაიასთან რამდენიმე დღის წინათ კობა სუბელიანის მიერ გაცხადებულ დაპირებებსაც გამოეხმაურა — „სუბელიანის პოლიტიკა ხანძრის ქრობას გავს, იგი მხოლოდ ალს აქრობს, ნაკვერჩხლები კი რჩება. დღესდღეობით ათასობით დევნილის უფლება ირღვევა, ჩვენ შევიმუშავეთ მათი დასაცავი გეგმა. სუბელიანის პოლიტიკა შეურაცხმყოფელი და არასრულფასოვანია“. რაც შეეხება დამსწრეთა კითხვას, დაიკავებს თუ არა სუბელიანის ადგილს კომიტეტის რომელიმე წევრი, ვახტანგ ყოლბაია ორაზროვნად პასუხობს, რომ ღირსეული კანდიდატი ძალზე ბევრია...**

**ირინა ოზოლაშვილი**

ინციდენტი ჭადრაკულად!

## ნონა გაფრინდაშვილი სკოლაში მანდატურმა არ შეუშვა

**ნონა გაფრინდაშვილი 51-ე საჯარო სკოლის მანდატურმა შენობაში არ შეუშვა. სკოლის დირექტორმა ნონა გაფრინდაშვილი სკოლაში დაიბარა, ხოლო შემდეგ სკოლის შესასვლელთან მომლოდინეს მანდატურის საშუალებით შეატყობინა, რომ ადგილები აღარ აქვთ.**



ნონა გაფრინდაშვილი 51-ე სკოლაში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით კომენტარისგან თავს იკავებს.

როგორც ნონა გაფრინდაშვილმა საუბრისას აღნიშნა, ეს ინციდენტი კარგა ხნის წინათ მოხდა და მასზე საუბარი ამჯერად არც სურს. ამასთან, გაფრინდაშვილი 51-ე სკოლაში მისვლას არ აპირებს.

რაც შეეხება ნონა გაფრინდაშვილთან დაკავშირებით მომხდარ ინციდენტს, სკოლის ადმინისტრაციაში მომხდარს ვერ იხსენებენ.

შეგახსენებთ, ერთი კვირის წინათ შვილიშვილთან ერთად 51-ე სკოლაში მისული ნონა გაფრინდაშვილი მანდატურმა სასწავლო დაწესებულებაში არ შეუშვა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

პრეზიდენტი

# მიხეილ სააკაშვილი: რუსებს ეგონათ ვმო-ს წევრობის გადაწყვეტას საქართველოს გვერდის ავლით შეძლებდნენ. წარმატებას ვუსურვებ, შეეცადონ!

**თბილისი არ გადავა თავის პირობებს მოსკოვთან მოლაპარაკებების დროს, რომლებიც რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრებას ეხება. ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჟურნალ „Foreign Policy„-ის ბლოგ „The Cable“-სათვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.**

საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა ისიც, რომ საქართველოს თანხმობის მისაღებად ვმო-ში გაწევრებისათვის რუსეთს მოუწევს მოქნილობის გამოჩენა და კომპრომისზე წასვლა. სააკაშვილმა გაიხსენა ისიც, რომ, რუსეთი იმედოვნებდა, რომ ამ საკითხზე საქართველოს გვერდის ავლით აშშ-სთან მოლაპარაკებას შეძლებდა „გადატვირთვის“ ფარგლებში.

„ისინი ეუბნებოდნენ ამერიკელებს: ჩვენ თქვენთან მოვილაპარაკებთ, საქართველო კი პაკეტის ნაწილია. ზოგი რუსისგან გამიგონია, რომ საკმარისია ბაიდენის ერთი ზარი იმისათვის, რომ სააკაშვილმა „მოკეტოს“, — აცხადებს პრეზიდენტი და აღნიშნავს, რომ „ამერიკელები ამაზე არ წავიდნენ და რუსეთს მკაფიოდ გააგებინეს, რომ მსგავსი მოლაპარაკებები არ იქნება“.

სააკაშვილმა აღნიშნა, რომ სწორედ ვაშინგტონის ამგვარი პოზიციის წყალობით მოსკოვს მოუწია მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომა თბილისთან ერთად და ეს უკვე დიდი პროგრესია.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ-რუსული მოლაპარაკებების პირველი რაუნდი, მარტში შვეიცარიის შუამავლობით ბერნში უკვე გაიმართა. მომდევნო რაუნდი მაისის დასაწყისშია დაგეგმილი. სააკაშვილის თქმით, რუსული მხარის მიერ იმთავითვე წამოყენებული წინადადებები, რომლებიც მხოლოდ ქართული პროდუქციის რუსეთში ექსპორტს ეხებოდა, კონსტრუქციული არ არის.



„ზოგი რუსი ამბობდა: ჩვენ დაგრთავთ ნებას მოახდინოთ თქვენი ღვინის ექსპორტი და თქვენ შეიცვალეთ თქვენი პოზიცია. მაგრამ ჩვენ არ დაგვრჩა ღვინო, რომელიც შეიძლება რუსეთში ექსპორტზე შევიტანოთ. ეს არ არის სახელოში დამალული კოზირი“, — აღნიშნა სააკაშვილმა და დასძინა, რომ თბილისი ეცდება მოსკოვთან ურთიერთხელსაყრელ გადაწყვეტილებებს მიაღწიოს საზღვარზე გარიგებების გამჭვირვალეობისა და საბაჟო საკითხებთან მიმართებაში — ეს კი ბევრად უფრო სერიოზულია, ვიდრე ღვინო“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

სტატიაში ასევე აღნიშნულია ისიც, რომ კოლოსალურ პრობლემას წარმოადგენს ის, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს რუსეთ-საქართველოს საზღვრად. თბილისისათვის ეს არის საზღვარი, რომელიც რუსეთს აქვს აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან, რომელთა დამოუკიდებლობაც რუსეთმა 2008 წლის აგვისტოში ცალმხრივად აღიარა.

„ნაბიჯი რუსეთზეა — მან უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ მზადაა მოქნილი და კომპრომისული გადაწყვეტილებების მისაღებად“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და დასძინა — „რუსებს ეგონათ ამ საკითხის გადაწყვეტას საქართველოს გვერდის ავლით შეძლებდნენ. მე მათ წარმატებას ვუსურვებ! შეეცადონ! საქართველო კი თავის პრინციპებს არ დათმობს“.

საქართველოს პრეზიდენტმა ასევე მზადყოფნა გამოთქვა, იმასთან დაკავშირებით, რომ მოლაპარაკებებზე მსჯელობა მხოლოდ ეკონომიკური საკითხებით შემოიფარგლოს.

„მაგრამ რუსები ყველა ეკონომიკურ საკითხს პოლიტიკურად აქცევენ ხოლმე“, — აცხადებს სააკაშვილი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

პოლიტიკური თამაშები

**თუ თქვენ ახლა გგონიათ, რომ მე საქართველოს საფეხბურთო ნაკრების თამაშების განხილვას ვაპირებ, ძალიან ცდებით.**

**მათ შესახებ, საკმაოდ ბევრი ისაუბრეს და მიუხედავად ბოლოს წაგებისა — ყოჩაღ!**

**მორჩა, მეტი ლაპარაკი აღარ უნდა.**

აღარ უნდა არც ე.წ. „მხარდამჭერი ფეხბურთელთა ცოლების“ მიერ სტადიონზე ჩატარებული სისულელეები და არც მსგავსი „ლონისძიებები“.

მთავარია მწვრთნელი და თამაში!

მთავარია საქმის გაკეთება!

ჰო, მთავარია ბრძოლა და საქმის კეთება.

ეჰ!

არადა ეს ოპოზიცია როგორ „იტანჯება“.

პრინციპში ხალხი იტანჯება, ამ შემთხვევაშიც ხელისუფლების სასარგებლოდ.

ბევრს არ ვილაპარაკებ და უბრალოდ ვიკითხავ:

— იქნებ საქართველოს ოპოზიციური ნაკრების მწვრთნელად ქეცბაია დაგვენიშნა?

კარგით რა. გვეყო ეს „ტოპმიულერები“ და „პუტინ-მედვედევები“.

არა, სანამ ეს ე.წ. „ქუჩის ოპოზიცია“ რამეს გადაწყვეტს, ე.წ. „საპარლამენტო ოპოზიციამ“ ორიოდე მინისტრს თანამდებობა შეუნარჩუნა.

არა, არ მოგატყუებთ და არ ვიტყვი, რომ თავგამოდებით იბრძოდნენ, ოღონდ კვეზერელი და სუბელიანი თავიანთ პოსტებზე დატოვეთ და ჩვენი ოპოზიციონერობა წყალსაც წაუღიაო, მაგრამ . . .

ერთი ძველი ანეკდოტი გამახსენდა:

# 1:0 ხელისუფლების სასარგებლოდ



თორემ ოპოზიციას რა უჭირს.

ერთბაშად შოთა ნიშნიანიძის ლექსის ფრაგმენტი, „ის გადიოდა კრემლიდან მარტო და ბავშვებისთვის გაჰქონდა პურიო“, არ ახსოვდეთ.

გაჭირვებული ბავშვები, მხოლოდ მაია ასათიანს ახსოვს.

ოპოზიცია კი დუმს!

„დუმს, დუმს, დუმს და რირამ, დუმს და რირამ. . .“

ჰო, ოპოზიცია დუმს!

დუმს და — „დუმს რარირამს“ მღერის!

მთელი ათი დღე ქართული პოლიტიკური სივრცე თრთოდა და ზანზარებდა.

პარლამენტში მინისტრები მივიდნენ!

დედა რა იყო ეს, ა?

ვუსმინე!

კარგით, რატომ დამცინით?

ვუსმინე. აბა რა მექნა?

რაღა ტელეკომპანია „იმედზე“ გასული გადაცემებისთვის მედევნებინა „თვალყური“ და რაღა პირველ არხზე „მორიალე“ ზაზა ბურჭულაძისთვის მეგინებინა.

არადა ამ გადაცემებს, ისევ მინისტრებთან დებატების ცქერა ჯობდა.

კარგით, ამ ხელისუფლებას, უკვე მერამდენედ „დავანებებ“ თავს.

ახლა უფრო ე.წ. „ქუჩის“ ოპოზიცია მაინტერესებს!

მართლა მაგრად მაინტერესებს!

რატომ?

ახლავე გეტყვით!

რაო, ჩემო „ძვირფასებო“, რა უფრო მნიშვნელოვანია, ერთმანეთის ლანძღვა, ცემა-ტყეპა, თუ იმაზე რეაგირება, რასაც ეს „ბრინკები“ ავრცელებენ?

ამ დროს 1:0!

— ჭიჭიკია დაენაძლევა ბიჭიკიას, პირველ სამ კაცს, ვინც თეთრ ხიდზე გამოივლის, რიონში გადავახტუნებო.

მოდის რუსი: — რუსო, ერთი „იაშიკი“ არაყი გადაგვივარდა ხიდიდანო.

ცხადია რუსი გადახტა.

მოდის ებრაელი — ერთი კილოგრამი ოქრო გადაგივარდაო.

ებრაელიც გადახტა.

მოდის ჟორიკია!

— გორბაჩოვმა თეთრი ხიდიდან გადახტომა აკრძალაო!

— ვინ კითხავს გორბაჩოვს!

და გადახტა!

მოდით, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ:

— ვინ კითხავს ქრისტიან-დემოკრატებს ან „ხიდიდან გადახტომას“, ან რომელიმე მინისტრის მოხსნას!

იმ ე.წ. „მინისტრებთან“ „პარლამენტარების“ „შეხვედრის“ შემდეგ (ხომ ხედავთ, სამივე სიტყვა, ცალ-ცალკე ბრჭყალებში ჩავსვიძ, ერთი უცნაური აზრი გამიჩნდა:

იქნებ ამ ე.წ. „საპარლამენტო ოპოზიციამ“ სპეციალურად დააყენა ჯერ კვეზერელის თანამდებობაზე დარჩენის საკითხი და მერე ვითომ „გაამწვავა“ სუბელიანის „ყოფნა-არყოფნა?“

რატომ გამიჩნდა ეს კითხვა?

ახლავე გეტყვით.

რა, კვეზერელზე, ან სუბელიანზე რითი არიან უკეთესები ან რურუა, ან ბაინდურაშვილი, ან თუნდაც ვარძელაშვილი?

არა, ქობალია და კალმახელიძე მთელს მინისტრთა კაბინეტს რომ სჯობიან, ამაში ალბათ ყველა ქართველი მამაკაცი დამეთანხმება.

ჰოოდა, ამ ე.წ. „საპარლამენტო ოპოზიციის“ „მკაცრად კრიტიკული“ გამოსვლები, ხომ არ იყო ის „სატოპკე პადაჩა“, რომელზეც ეს ჩვენი ე.წ. პრეზიდენტი იტყოდა, ვინ კითხავს ოპოზიციასო, მთელს საქართველოს რიონში გადაგდებდა და თვითონ კი მშვიდად გაფრინდებოდა გაურკვეველი მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ არც მთავრობის „გუნდური პასუხისმგებლობის საკითხი“ გასულა, არც ჯანდაცვის სისტემაში არსებული პრობლემების გადაჭრის რეალური გზები არ გამოჩენილა, კვეზერელიც და სუბელიანიც ისევ აიღებენ „მსუქან–მსუქან“ პრემიებს, ამ დებატებს მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

როგორც პარლამენტის წევრმა გიორგი ახვლედიანმა, ხუთშაბათს რადიო 105-ის პირდაპირ ეთერში განაცხადა, დებატების მთავარი დატვირთვა საქართველოს მოსახლეობისთვის, რეგიონებში მცხოვრები იმ ადამიანებისთვის, რომლებიც სახელისუფლებო მედიასაშუალებების „წყალობით“, ფაქტობრივად ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებიან, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდება იყო.

თვით ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებმაც ნათლად დაინახეს თავიანთი „რჩეული“ მთავრობის უცოდინრობა და სრული არაკომპეტენტურობა.

დაინახეს, რომ ამ ხელისუფლების ხელში, ქვეყანას მომავალი არ გააჩნია.

ძალიან ბევრი რამის დაწერა შეიძლებოდა ამ დებატებთან დაკავშირებით.

შეიძლებოდა მეთქვა, რომ გარემოს დაცვის მინისტრის მიერ, ტაშტებზე ხელების ტყაპუნით იაპონელი ხალხისადმი მხარდაჭერა სისულელე და დაღუპულთა შეურაცხყოფაა.

შეიძლებოდა მეთქვა, რომ ჯანდაცვის მინისტრის პათოსი, ახალი საავადმყოფოების მშენებლობასთან დაკავშირებით, უგერგილი ბლეფი და ხალხისათვის თვალში ნაცრის შეყრაა.

შეიძლებოდა მეთქვა, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მინისტრის კაბინეტის ფანჯრების წინ, მისი „მოღვაწეობისგან“ გამწარებულმა ადამიანმა თავი მოიკლა და ეს მინისტრი „წარმატებულად“ ითვლება.

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ არ ვიტყვი.

არ ვიტყვი, რადგანაც ეს ყველაფერი, ყველამ კარგად იცის.

იცის, მაგრამ არაფერს ამბობს.

ამიტომ 1:0 ხელისუფლების სასარგებლოდ.

**გია გაბრიჭიძე**

პენიტენციური სისტემა



# რატომ იღუპებიან პატიმრები?

**პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავჯდომარის მოადგილემ დიმიტრი ლორთქიფანიძემ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე პატიმართა უფლებების დაცვის საკითხი გაახმოვანა. მისი თქმით, ერთ წელიწადში გარდაცვლილთა რაოდენობამ 120 კაცს მიაღწია. მან 23 წლის თამაზ დადვანის გარდაცვალების გამო პასუხი მოსთხოვა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს ხათუნა კალმახელიძეს.**

შარშან, დეკემბერში დეპუტატმა არაერთხელ განაცხადა დადვანის გარდაცვალების თაობაზე, რომელიც ლორთქიფანიძის თქმით, აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო, მაგრამ პატიმრობიდან წლისა და 9 თვის თავზე ტუბერკულოზის მძიმე ფორმით დაავადდა და ერთ თვეში გარდაიცვალა.

თურმე, 100 გარდაცვლილი პატიმრიდან 70 ტუბერკულოზით იღუპება. მათი ასაკი 23-დან 48 წლამდე მერყეობს, მაშინ, როცა ისინი ჯანმრთელები შევიდნენ სისტემაში. ეს ძალიან გახშირებული ფორმა ყოფილა, ანუ მარტო 2011 წლის დასაწყისიდან დღემდე უკვე შვიდი პატიმარი ტუბერკულოზით გარდაცვლილა. **„იმის გამო, რომ ციხეებში ადამიანებს აწამებენ, არაადეკვატურად ექცევიან, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა არ არსებობს, პასუხი ვინმემ უნდა აგოს. პოლიტიკური თანამდებობის პირები არიან ჯანდაცვისა და, სასჯელაღსრულების მინისტრები. ამ ორმა მინისტრმა პირდაპირი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს, რაც ხდება მათ სისტემაში. უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი სამედიცინო კომისია რომ არ მუშაობს, ეს დანაშაულებრივი გულგრილობაა. მათ უფლებამოსილება ავალდებულებს, განახორციელონ ის, რაც კანონითაა გაწერილი“,** — განუცხადა დეპუტატმა „ჯი-ეიჩ-ენ“-ს.

ის, რომ ციხეებში ტუბერკულოზი მძვინვარებს, ამის თაობაზე ლორთქიფანიძემ დეპუტატებს სხვა დროსაც შეახსენა პარლამენტის ტრიბუნიდან.

დიმიტრი ლორთქიფანიძემ დედათა კომიტეტის შექმნის თაობაზე უკვე ისაუბრა. იგი ფიქრობს, რომ დედაშვილობისა და ბუნების ძალა ამ კომიტეტების შექმნას მოახერხებს. დაიწყება უმწვავესი აქციები. შეიძლება იქამდეც მივიდეს საქმე, რომ დედებმა მინისტრები კაბინეტებში არ შეუშვან. ესაა ყველაზე უკიდურესი, რაც შეიძლება ამ ადამიანებმა გააკეთონო.

მისი აზრით, დედათა კომიტეტებში, უპირველესად, გაერთიანდებიან ის ადამიანები, რომელთა შვილებიც ამ წუთში რისკის ქვეშ იმყოფებიან, და რომლებსაც წამება, ცემა და უკურნებელი სენით დაავადება ემუქრება.

პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე დიმიტრი ლორთქიფანიძეს უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძეც გამოეხმაურა, რომელმაც დასძინა, რომ სახალხო დამცველის ბოლო ანგარიშში აღწერილია პენიტენციურ სისტემაში არსებული უმწვავესი ვითარება პატიმრების გარდაცვალების თვალსაზრისით.

შარშან, წინა წელთან შედარებით, 33-ით მეტი პატიმარი გარდაიცვალაო. საპატიმროებში ათობით და ასობით ადამიანის სიცოცხლის დღეები დათვლილიაო.

**ნატა ნიბლაძე**

ინფორმაცია

# საკრებულოში კუკავას აზრს არ იზიარებენ

**ფრაქცია „თავისუფალი საქართველოს“ წევრი კახა კუკავა თბილისის საკრებულოს ინიციატივით მიმართავს, რათა ზვიად გამსახურდიას სახელის უკვდავყოფის მიზნით თბილისის საერთაშორისო აეროპორტსა და საბურთალოს ქუჩას ზვიად გამსახურდიას სახელი ეწოდოს.**

**ამის შესახებ კახა კუკავამ საკრებულოში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.**

**— სამწუხაროდ, დამოუკიდებლი საქართველოს დედაქალაქში, სადაც უკვე არის პრეზიდენტ კაჩინსკის, ალიევისა და ბუშის ქუჩები, ზვიად გამსახურდიას სახელს არც ერთი ქუჩა არ ატარებს. რაც შეეხება სანაპიროს, რომლის ნაწილსაც უკვე დაერქვა ალიევის სახელი, პრაქტიკულად,მკვდარი მონაკვეთია, სადაც არც ერთ ობიექტზე არ არის განთავსებული შესაბამისი აბრა, — აცხადებს კუკავა.**

**ამასთან, იგი მოითხოვს, ჯერ კიდევ 2008 წლიდან ბიუჯეტში შეტანილი კოლხური კოშკის რეაბილიტაციის საკითხი რეალურად განხორციელდეს.**

**— ჯერ კიდევ არ დასრულებულა პირველი პრეზიდენტის მემორიალური სახლ-მუზეუმის კოლხური კოშკის აღდგენითი სამუშაოები, რომელიც წლებია მიმდინარეობს, — აცხადებს კახა კუკავა.**

**მისივე თქმით, ამ საკითხს იგი საკრებულოში დააყენებს, რათა თბილისის საკრებულოს შესაბამისი კომისიის სხდომაზე კოლხური კოშკის აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მოისმინონ.**

**კახა კუკავას მოთხოვნას უმალ გამოეხმაურა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლაშა იმედაშვილი.**

**მისი თქმით, თბილისის საკრებულო რჩევას არ მიიღებს იმ ადამიანისგან, რომელიც კრემლიდან იღებს კონსულტაციებს.**

**— თბილისის საკრებულო კარნახს არ მიიღებს იმ პოლიტიკოსისაგან, რომელიც დარბის კრემლის კარზე და ჟირინოვსკის ესაუბრება, — აცხადებს იმედაშვილი.**

**იმედაშვილის განმარტებით, საქართველოს ხელისუფლებამ ზვიად გამსახურდიას პატივი უკვე მიაგო, იგი საქართველოში გადმოასვენეს, მთაწმინდაზე დაკრძალეს, მისი სახელი კი მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ეწოდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

მიმართვა

# მთავარი ქართული გზა

## ღია წერილი ყველას, ვისაც საქართველო არც ტოტალიტარიზმის ჭაობისთვის ემეტება და არც რევოლუციური ქაოსისთვის

**20 წელი სრულდება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან, 20 წელია, უშედეგოდ ვწუწუნებთ, რომ ამ ხნის მანძილზე ვერც ერთხელ ვერ მოვახერხეთ, არჩევნების გზით შეგვეცვალა ხელისუფლება. თუმცა ვართ კი გულწრფელები, როცა ამ თემაზე დანანებით ვლაპარაკობთ? მაინცადამაინც დიდი ინტერესი და ხილული გულშემატკივრობა ხომ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის საარჩევნო თემაზე მიმდინარე მოლაპარაკების პროცესისადმი აქამდე არ შეიმჩნეოდა.**

ამ პროცესში ჩართულ ოპოზიციას (ე.წ. ოპოზიციურ „რვიანს“) კრიტიკა არც მანამდე აკლდა დანარჩენი ოპოზიციისგან, მედიისა და საექსპერტო წრეებისგან. 9 მარტის შემდგომ კი კრიტიკა, ცხადია, გაორმაგდა. თუმცა, ძნელი სათქმელია, რატომ გადაიქცა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ზრუნვა მხოლოდ „პოლიტიკური რვიანის“ საქმედ (უფრო კი ტვირთად) და რატომ ჩაითვალა, რომ არავის სხვის (მცირე გამონაკლისების გარდა) ინტერესი ქართულ საზოგადოებაში ეს საქმე არ არის.

9 მარტს ხელისუფლებამ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკუთარი ხედვა წარმოადგინა. შესაძლოა მოლოდინი სხვადასხვაგვარი არსებობდა, მაგრამ ხელისუფლების მიერ მოწოდებული ვერსია მძიმე დასკვნების საფუძველს იძლევა.

რატომ დგამს ხელისუფლება ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც რევოლუციურ განწყობებს კვებავს? ან პირიქით – რატომ არ დგამს ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც რევოლუციურ განწყობას სრულად გაანეიტრალებდა? მით უფრო იმ ფონზე, როცა არაბული სამყაროს რევოლუციურმა ტალღამ განწყობითად საქართველომდეც მოაღწია. ქართული ოპოზიცია კი ისედაც არ უჩიოდა საგაზაფხულო-საშემოდგომო საპროტესტო აღტყინების ნაკლებობას.

ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, მარტივი ლოგიკით იხელმძღვანელა. თუ არსებითს არაფერს დათმობდა, რადიკალური განწყობის მქონე პოლიტიკოსები და საზოგადოება უფრო ძლიერად დაუპირისპირდებოდა საარჩევნო გზის მომხრე პოლიტიკურ ძალებს (რომლებიც, როგორც ჩანს, უკვე მოლაპარაკების მქევლებად მიაჩნდა) და დაპირისპირებაში მოგებული ისევ თავად დარჩებოდა.

სამწუხაროა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ ეტაპზე ამ მარტივმა და უპასუხისმგებლო ლოგიკამ ნაწილობრივ იმუშავა კიდეც.

საქართველოში, ღრმად მწამს, საზოგადოების უდიდეს ნაწილს არ სურს ტუნისურ-ეგვიპტური, მით უმეტეს ლიბიური სცენარის ჩვენს ქვეყანაში განვითარება, მაგრამ ჩვენს წინაშე დგას დილემა და ამ დილემას პასუხის გაცემა სჭირდება.

ერთი მხრივ, სააკაშვილის ხელისუფლება არჩევნებით არ დათმობს ძალაუფლებას. ეს, სამწუხაროდ, უკამათო პოსტულატად ჩამოყალიბდა ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის (განსაკუთრებით 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებისა და 9 მარტს წარმოდგენილი ხედვის ფონზე). მეორეს მხრივ, ოკუპირებული ტერიტორიების მქონე ქვეყანაში რევოლუციური პროცესის განვითარება, შეიძლება სახელმწიფოებრივი სხეულის რღვევის წინაპირობა აღმოჩნდეს.

მაშ, რა უნდა მოიმოქმედოს ადამიანმა (პოლიტიკურმა ძალამ, საზოგადოებამ) ვინც ამ საფრთხეებს აცნობიერებს, მაგრამ საარჩევნო გზის უპერსპექტივობასაც ცხადად ხედავს: ან შეეგუოს შექმნილ ვითარებას და თქვას – ჯანდაბამდე გზა ჰქონია სააკაშვილს და მის ხელისუფლებას – რევოლუციას, ქაოსს, სამოქალაქო დაპირისპირებას ისევ სჯობს შეჩვეულ ჭირს გავუძლოთ ან ასევე ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ – ამდენი დანაშაულით, უსამართლობითა და ცინიზმით დაიმსახურეს და დაე, დაამხონ ნებისმიერი ხერხითა და საშუალებით. მაგრამ ხომ არსებობს განსხვავებული ხედვა, გზა და განწყობა, როცა შენი ქვეყანა არ გემეტება არც რევოლუციური ქაოსისა და უბედურებისთვის და არც შიშითა და უიმედობით გაჟღენთილი ტოტალიტარიზმის ჭაობისათვის.



არსებობს თუ არა გამოსავალი ამ ჩიხური სიტუაციიდან და რაში მდგომარეობს იგი? „პოლიტიკურმა რვიანმა“ ამ ეტაპისთვის თავის ფუნქცია შეასრულა. ახლა სხვა ეტაპი დადგა. „ოპოზიციურ რვიანსაც“ მართებს ახალი ეტაპის შესატყვისი სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება და ვფიქრობ, დადგა დრო, როცა ეს საქმე პოლიტიკური ოპოზიციის ფარგლებს უნდა გასცდეს და სხვა მასშტაბი შეიძინოს.

ქართულ საზოგადოებაში, მიუხედავად არჩევნებისადმი ობიექტურად არსებული ნიჰილიზმისა, დიდ ნაწილს უნდა, რომ ხელისუფლება სწორედ არჩევნების გზით იცვლებოდეს.

მე ღრმად მწამს, რომ არსებობენ (და ვიცი კიდეც) ადამიანები, ვინც დღეს ხელისუფლების მხარდამჭერები არიან, მაგრამ თვლიან, რომ ხელისუფლების შიგნით დემოკრატიულობის კუთხით რაღაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილმა საზოგადოებამ ღიად და მკაფიოდ თქვას უარი პოლიტიკური პროცესის რევოლუციურ განვითარებაზე; უნდა გაბედოს ხელისუფლების მომხრე საზოგადოებამ და მკაფიოდ თქვას, რომ სააკაშვილმა ახალი ვადით არანაირი ფორმით არ უნდა დაიკავოს არც ერთი უმაღლესი თანამდებობა; რომ საქართველოს აღარ სჭირდება ხელისუფლების უცვლელობა და არც ძალადობრივი შეცვლა; რომ საქართველოს სასიცოცხლოდ სჭირდება ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის პერსპექტივა და პრეცედენტი. ამ წერილის წერისას ჩემი მიმართვის ადრესატი სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე ბევრი ადამიანია, რომლებიც, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ამ განწყობაში ნამდვილად თანამოაზრენი არიან. იქნებ დადგა დრო და საპასუხისმგებლო მომენტი, როცა უნდა დავსვათ კითხვა: ვართ თუ არა საზოგადოება და შეგვიძლია თუ არა, რომ ყველანი – ექსპერტები, ჟურნალისტები, სამოქალაქო საზოგადოება, პოლიტიკოსები, უბრალოდ დაინტერესებული ადამიანები, ნაცვლად პასიური შემფასებლებისა, ვიყოთ აქტიურები, ვიმოქმედოთ სადაც შეგვიძლია და რა საშუალებაც გაგვაჩნია? გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა – გაზეთი, ტელე თუ რადიოგადაცემა, სოციალური ქსელები, ჩვენი სამეგობრო, თუ სხვადასხვა სახის აუდიტორია, რათა ყველას დავანახოთ, რაოდენ სახიფათოა პოლიტიკოსთა ხელისუფლებაში ყოფნის ვნებით თუ მოსვლის ჟინით შეპყრობილობა. ვფიქრობ, თითოეული ჩვენგანის პიროვნული პასუხისმგებლობაცაა, რომ ავაცილოთ ჩვენს ქვეყანას, როგორც ტოტალიტარული სტაგნაციის, ისე რადიკალური კატაკლიზმების გარდაუვალი საფრთხე; რომ გავარღვიოთ მოჯადოებულ წრეზე სიარულის ოცწლიანი მძიმე ტრადიცია და გამოვაჩინოთ ახალი გზის დასაწყისი. ეს არ არის მესამე გზა. ეს არის მთავარი ქართული გზა – ყველაზე იოლი, ყველაზე იაფი, ყველაზე მშვიდობიანი, ყველაზე სამართლიანი და ყველაზე პატრიოტული, მაგრამ სამწუხაროდ, 21-ე საუკუნის საქართველოში ჯერჯერობით გამოუყენებელი.

**ფიქრია ჩიხრაძე,**
31 მარტი, 2011 წელი

თანამშრომლობა

# „აშშ-ის ადმინისტრაცია საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკურ გარანტიებზე უფრო ფიქრობს, ვიდრე შეიარაღებაზე“

**უსაფრთხოების პოლიტიკის ექსპერტის ირაკლი სესიაშვილის შეფასებით, „აშშ-ის მოქმედი ადმინისტრაცია საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკურ გარანტიებზე უფრო ფიქრობს, ვიდრე ქვეყნის შეიარაღებაზე“.**



როგორც სესიაშვილმა „პირველს“ განუცხადა, **„პენტაგონის ამგვარი მიდგომა სავსებით გამართლებულია, ვინაიდან როგორც არ უნდა დაგვეხმაროს აშშ თანამედროვე შეიარაღებით, საქართველოს სამხედრო გზით რუსეთთან გამკლავება არ ძალუძს“.**

**„ამასთან, აშშ-ის მხრიდან მცირე რაოდენობის იარაღის მოწოდებაც კი ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ურთიერთობის დაძაბვას გამოიწვევს და რუსეთს საბაბი მიეცემა, რეგიონში შეიარაღება გაზარდოს. ასე რომ, ამ ეტაპზე, როცა რუსეთ-საქართველოს შორის არანაირი დიალოგი არ არსებობს, აშშ-დან შეიარაღების მიღება უფრო მეტი საფრთხის შემცველია საქართველოსთვის“,** – განაცხადა სესიაშვილმა.

მისივე აზრით, **„აშშ უფრო გრძელვადიან პროექტზე აკეთებს აქცენტს, რომლის პირველი ეტაპი ქართველი სამხედროების მომზადებაა, ხოლო შეიარაღების მიღების იმედი საქართველოს უფრო მომდევნო ეტაპებზე შეიძლება, ჰქონდეს, როდესაც პოლიტიკური სიტუაცია ნაკლებად ფეთქებადსაშიში იქნება“.**

რაც შეეხება სენატორ მაკკეინის მიერ გამოთქმულ მწუხარებას იმასთან დაკავშირებით, რომ **„ობამას ადმინისტრაცია საქართველოს მძიმე სამხედრო ტექნიკით არ ამარაგებს“, სესიაშვილი მას „პიარ-კამპანიის ნაწილად“ მიიჩნევს.**

**„ჩვენ მადლობელი უნდა ვიყოთ ჯონ მაკკეინისა, რომელიც ყოველთვის საქართველოს ინტერესებს იცავს, თუმცა ვფიქრობ, მისი ეს განცხადება უფრო პიარ-კამპანიის ნაწილია. მაკკეინი ჯორჯ ბუშთან ერთად ხელისუფლებაში იყო და მაშინ მათ შეეძლოთ, საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად რეალური ნაბიჯები გადაედგათ, თუმცა ომამდე ისე მივედით, არც მანამდე და არც მის შემდეგ ეს არ გაუკეთებიათ“,** – დასძინა სესიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ის კონგრესის სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას ადმირალმა ჯეიმს სტავრიდისმა განაცხადა, რომ „პენტაგონის ინსტრუქტორები ქართველი სამხედრო მოსამსახურეების მომზადებას აგრძელებენ, თუმცა ამერიკა ამჟამად საქართველოს თანამედროვე იარაღის სისტემებს არ აწვდის“.

თავის მხრივ, სენატორმა მაკკეინმა საქართველოს მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოუცხადა და მწუხარება გამოთქვა, რომ ობამას ადმინისტრაცია საქართველოს მძიმე სამხედრო ტექნიკით არ ამარაგებს.

სარედაქციო ფოსტიდან

# მართლაც, ვინც რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო?!

**ჩვეულებრივი მეწარმეებისთვის შეუძლებელი გახდა პურის ბიზნესის წარმართვა. არადა 40 წელია ამ კეთილშობილურ მამაპაპურ პროფესიას ორი რაჭველი ვემსახურებით კოლმეურნეობის მოედანზე.**

საქმე ის არის, რომ მეწარმეებს დღეს ნედლეულის (ფქვილის) არც ფასში და არც ხარისხში არჩევანის საშუალება არ გვაქვს. საკვირველია, მაგრამ ფაქტია: ორი წელიწადია საქართველოში არც უკრაინული, არც რუსული და არც სხვა ქვეყნის ფქვილი არ შემოდის. ასეთი რამ, ალბათ, არსად არ ხდება. თუ კონკურენცია არ არის, თუ მრავალფეროვნება არ არის, ბაზარზე ფქვილის ფასი მხოლოდ იმატებს, ხოლო ხარისხი სათანადო მაინც არ არის. ეს იმ დროს, როდესაც მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა, არსად ასე მკვეთრად ფქვილი არ გაძვირებულა. ხალხი ჩამოდის უკრაინიდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან – გვიამბობენ, ვიცით ეს ტელევიზიითაც, რადიოთი. მოვისმინეთ, თითქოს ადგილობრივი მეწარმეობის ხელშეწყობისათვის ხდებაო ფქვილის ბაზრის გადაკეტვა, რათა ჩვენმა წისქვილებმა იმუშაონ. კეთილი, მაგრამ ორმა-სამმა წისქვილმა იმუშაოს და ათასობით ხაბაზი ასე ულმერთოდ გაყვლიფონ, ეს რანაირი ხელშეწყობაა! ფქვილი გაძვირდა – ხარისხი კი მაინც სათანადო არ არის. წისქვილები გაკოტრდა. აზერბაიჯანელებმა შეიძინეს „კარმენი“, გორის, მარნეულის, კაჭრეთის წისქვილები. ესაა ქართული ბიზნესის ხელშეწყობა? ვინ არის პასუხისმგებელი ასეთ უმეცარ გადაწყვეტილებაზე. სოფლის მეურნეობის მინისტრისათვის აი ეს უნდა ეკითხათ პარლამენტში. უბრალო ხალხი ვიჩაგრებით და ხორბლის შემომტანი ფირმები რატომ მდიდრდებიან?



უფრო მეტიც, მაღაზიებსა და მეტროს სადგურებთან ვიღაც-ვიღაცეებმა პურის სარეალიზაციო ჯიხურების დადგმა მოახერხეს. ეს იმ დროს, როდესაც მერიამ იმ ადგილებში ჯიხურები აილო (მაღაზიების წინ ჯიხურების დადგმა ეს ხომ მეწარმეობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა. პურის მაღაზიაში არ უნდა გაიყიდოს?!). ასე გვითხრეს, მათ უკან პარლამენტიდან დიდი კაცები დგანანო. ვერაფრით წარმოვიდგინეთ. დღეს აღარც პურის გასაჭირია, აღარც ნორმირება და რატომ ასეთი შეღავათები და არათანაბარი კონკურენტგარემოს შექმნა ზოგიერთებისთვის? ამ ლოგიკას რომ მივყვეთ, ქალაქში ათასი საცხობია და ყველამ ჯიხურები დადგას, რა გამოვა! აშკარად ამ ყველაფერს კორუფცია უნდა ერქვას. სხვა ახსნა ამას ვერ მოვუძებნეთ. პრინციპიც გასაგებია, ვინც რა უნდა თქვას, მთავარია კორუფციის წისქვილმა ფქვასო.

**რაჟიკო ჯოხაძე,**
**შოთა კერესელიძე.**
ხაბაზები

აქტუალური ინტერვიუ



***20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა. ორი ათეული წელი ისტორიისთვის დიდი დრო არ არის, მაგრამ კარგი საბაბია ქვეყნის დამოუკიდებლობის პირობებში მიღწეული შედეგებისა და შეცდომების შესაჯამებლად. იმაზე, თუ რას მივაღწიეთ, რას — ვერა და დამოუკიდებლობის 20 წლისთავზე დღეისთვის ქვეყნის წინაშე რა ამოცანები დგას, „ინტერპრესნიუსი“ პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორს ზურაბ აბაშიძეს ესაუბრა.***

# ევროპა არ მომკვდარა, ამერიკაც შორს არ არის!..



**— ბატონო ზურაბ, 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა. როგორ შეაფასებდით დამოუკიდებლობის 20-წლიანი ისტორიის შედეგებსა და მიღწევებს?**

— თავიდანვე ვიტყვი, რომ ჩემი შეფასებები იქნება ზოგადი, ამიტომ ალბათ, სადაოც. როდესაც ასეთ დიდ, რთულ და წინააღმდეგობრივ პერიოდს აფასებ, ეს ბევრ კითხვას, კრიტიკას და ემოციებს იწვევს.

ჯერ წარმატებაზე მოგახსენებთ. უპირველესად მინდა აღვნიშნო, რომ დამოუკიდებლობისკენ მიმავალი გზა უაღრესად რთული აღმოჩნდა. მაგრამ, საერთო ჯამში, ამ 20 წლის მანძილზე ჩვენ სახელმწიფოებრიობის საფუძვლები შევქმენით — ავირჩიეთ მოდელი, თუ როგორი სახელმწიფოს შექმნა გვინდა. ეს არის დასავლური ტიპის ლიბერალური დემოკრატია. ამ კურსის შენარჩუნება 20 წლის მანძილზე შევძელით. ეს წარმატებაა, თუმცა ამ მიზნამდე ჯერ არ მივსულვართ. თუ ჩვენ საქართველოს შევადარებთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს (ბალტიისპირეთის გამოკლებით, რადგან მათ სხვა ისტორიული გამოცდილება და გეოგრაფიული მდებარეობა აქვთ), საერთო ჯამში, ჩვენ დემოკრატიის ხარისხის განვითარებით გამოვგვარჩევენ კიდეც. თუმცა, ჩვენი დემოკრატიულობის ხარისხის მიმართ ბევრი და სამართლიანი შენიშვნები არსებობს.

წარმატებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩვენი საზოგადოება მომწიფდა და თუ პირადად მე 20 წლის წინათ მქონდა შიში იმისა, რომ ჩვენ სახელმწიფოს ვერ შევქმნიდით, ახლა ამგვარი განცდა აღარა მაქვს. საზოგადოება გაიზარდა და ნამდვილად შეგვწევს ძალა იმისა, რომ ჩამოვყალიბდეთ სრულყოფილ დემოკრატიულ სახელმწიფოდ. უთუოდ ისიც წარმატებაა, რომ დღეისთვის ყოფითი კორუფცია და კრიმინალი მნიშვნელოვნად შემცირებულია.

**— დაშვებულ შეცდომებზე რას იტყვით? და კიდევ, თქვენი აზრით, რატომ დაუშვა ქვეყანამ იმაზე გაცილებით მეტი შეცდომა, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლებოდა?**

— ალბათ, ჩვენ მიერ დაშვებული უამრავი შეცდომის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ მივიწყებული გვქონდა სახელმწიფოებრივი ცნობიერება. როცა დამოუკიდებლობა მივიღეთ, ჩვენი საზოგადოება ძალიან ინფანტილური იყო. დღევანდელი გადასახედიდან იმდროინდელ ლოზუნგებს თუ გადავხედავთ, ალბათ გაგვეღიმება კიდეც. მაგალითად: „დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობისთვის მარტო „ბორჯომის“ წყალიც გვეყოფა“. ან კიდევ: „გამოვუცხადოთ ეკონომიკური ბლოკადა რუსეთს!“ ჩვენ ძალიან დიდი მოლოდინი გვქონდა იმისა, რომ თუკი რაიმე პრობლემა შეგვექმნებოდა, ყველაფერს დასავლეთი მოგვიგვარებდა. მახსოვს, როგორ ველოდებოდით 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში ნატოს ჯარს საქართველოში, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო. ერთი მხრივ ამ კოლექტიურმა ინფანტილიზმმა, ხოლო მეორე მხრივ — პოლიტიკოსების ავანტიურიზმმა, ბევრ უბედურებას გადაგვყარა. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში წარმოქმნილ კონფლიქტებში ჩვენც მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა გვაკისრია. მგონი, ამის გაცნობიერება ჩვენში უკვე მოხდა.

ალბათ, ისიც დიდი პრობლემაა, რომ ვერ მოვახერხეთ საზოგადოების კონსოლიდაცია. მხედველობაში მაქვს არა ხელისუფლება-ოპოზიციის პარადიგმა, არამედ საზოგადოების უფრო ფართო გაგებით გაერთიანება. ეს შეიძლება ჩვენი ხასიათის უკიდურეს ინდივიდუალიზმთანაც არის დაკავშირებული, რაც სახელმწიფოს მშენებლობას ხშირად ხელს უშლის. რაც შეეხება ჩვენს პოლიტიკურ კულტურას, ერთხელ მე მას სიძულვილის მანქანა ვუწოდე. ჩვენი პოლიტიკური სპექტრი და მედია წლების მანძილზე საზოგადოებაში ერთმანეთის დაუნდობლობას თესავს. გარკვეულწილად თავისუფალი პოლემიკა დაპირისპირებასაც ნიშნავს, მაგრამ პაექრობა ხშირად გადადის სიძულვილის დამკვიდრებაში. ამან საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ცნობიერებაში, ძალიან ცუდი შედეგები გამოიღო. სამწუხაროდ, დიდი პრობლემაა ისიც, რომ ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი არ აღმოჩნდა მზად ახალი ეპოქისთვის.

**— ყველა შედეგისა და შეცდომის გათვალისწინებით, ქვეყნის წინაშე ახლა რა გამოწვევები და ამოცანები დგას?**

— ფაქტია, რომ გარეშე საფრთხე დღის წესრიგში რჩება. ჩვენს წარუმატებლობებზე საუბრისას მე უთუოდ უნდა დამესახელებინა რუსეთთან მოუწესრიგებელი ურთიერთობები. ეს არ არის მხოლოდ დღევანდელი ან მხოლოდ წინა ხელისუფლების დიდი შეცდომა. მე რუსეთის პოლიტიკას ჩვენს მიმართ სრულებით არ ვამართლებ, მაგრამ მთლიანად ჩვენი საზოგადოების შეცდომაა, რომ რუსეთთან არაპრაგმატული, არარეალისტური მიდგომა შევიმუშავეთ. ამ თვალსაზრისით ხელისუფლება ხშირად საზოგადოების დაკვეთას ასრულებდა. ამან უმწვავესი პრობლემები შეგვიქმნა.

სერიოზულ ამოცანად რჩება ხელისუფლების მშვიდობიანად შეცვლის დილემა, ერთი ხელიდან მეორე ხელში ძალაუფლების არჩევნების გზით გადაცემა. ეს აუცილებლად უნდა მოვახერხოთ. ეს იქნება ძალიან სერიოზული გამოცდა, რომელიც ჩვენ ქვეყნის ევოლუციური გზით განვითარების გზაზე გაგვიყვანს. ასევე, სერიოზული გამოწვევაა ქვეყნის მოდერნიზაცია. ჩვენ საკმაოდ მცირე რესურსებით უნდა მოვახერხოთ ქვეყნის სწრაფი განვითარება. ჩვენ ახლა სულ სხვანაირ მსოფლიოში ვცხოვრობთ, ვიდრე ეს 20 წლის წინათ იყო. ის ქვეყნები, რომლებიც ახლა მოდერნიზაციას ვერ განახორციელებენ, ისტორიის თამაშგარე აღმოჩნდებიან.

**— აქტუალური თემაა დამოუკიდებლობის მოპოვებამდე დასავლეთის მიმართ ქართული საზოგადოების გადაჭარბებული მოლოდინი. დასავლეთისადმი გადაჭარბებული მოლოდინი გაამძაფრა ამას წინათ თბილისში გამართულმა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის როუზ-როსის 76-ე სემინარმა, რომლის თემა იყო — „კავკასია გლობალურ ჭრილში: საქართველოს პერსპექტივები და საერთაშორისო ფსონები“. ამ სემინარზე გამოსვლისას რუსმა პოლიტოლოგმა ანდრეი პიონტკოვსკიმ განაცხადა, — „დაივიწყეთ ევროპა, ევროპა მკვდარია“. სხვათა შორის, პიონტკოვსკის ეს მოსაზრება ევროპელ ექსპერტებს არც კი გაუპროტესტებიათ. როცა აშშ-ს ობამას ადმინისტრაციამ მსოფლიო ჟანდარმობაზე უარი ნებაყოფილობით თქვა, მიუხედავად იმისა, რომ ლიბიაში ნატო სამხედრო ოპერაციას ატარებს, დღევანდელ მსოფლიოში უცნაური სურათი იკვეთება. თქვენი აზრით, რას შეიძლება ნიშნავდეს რუსეთთან მიმართებში დასავლელ ექსპერტთა მხრიდან ჩვენთვის განკუთვნილი ამგვარი მესიჯი?**

— რადგან ჩვენ ტერმინი ინფანტილიზმი უკვე ვახსენეთ, მოდით, ამ კუთხიდან შევხედოთ თქვენს მიერ დასმულ კითხვას. მართალია, საზოგადოება ბოლო 20 წლის მანძილზე დასერიოზულდა, მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბდა სამოქალაქო ცნობიერებაც, მაგრამ ინფანტილიზმის პრობლემა მაინც ნაწილობრივ სახეზეა. ჩვენი საქვეყნო საქმეების კეთებაში ჩვენ მუდამ ვილაცის დახმარების მოლოდინში ვართ. გამუდმებით გვაქვს განცდა იმისა, რომ არსებობს რაღაც პანაცეა, რაც ყველაფერს ერთბაშად მოგვიგვარებს. ვთქვათ, საკმარისია ერთი „ვაჟკაცური“ რევოლუცია მოვაწყოთ და მეორე დღესვე ყველაფერი კარგად იქნება. საქმე ის გახლავთ, რომ სახელმწიფოს შენებას „ბევრი პანაცეის“ მიკვლევა და მოგვარება სჭირდება. შენება კი მხოლოდ მშვიდობიან პირობებშია შესაძლებელი.

ჩვენ რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში დასავლეთის დახმარება არ გვქონოდა, დიდი ხანია, სახელმწიფოებრიობა დაკარგული გვექნებოდა. დასავლეთი დღესაც გვეხმარება მატერიალურად, ფინანსურად, პოლიტიკურად. ბოლოს და ბოლოს, მათ ჩვენი ვალი არა აქვთ და ჩვენ ზედმეტად მომთხოვნი არ უნდა ვიყოთ. ჩვენ არ უნდა გვქონდეს მოლოდინი, რომ ევროპელები ჩვენს მაგივრად სახელმწიფოს ააშენებენ ან ამერიკელები გააკეთებენ ამას. ამიტომ, ყურების ჩამოყრა — „ევროპა მოკვდა“ (გარწმუნებთ, რომ ცოცხალია!), „ამერიკა ძალიან შორს ყოფილა“ და „აღარ ვუნდივართ“ არასწორი მიდგომებია. ეს ქვეყანა ჩვენი ასაშენებელია. რუსეთთანაც საბოლოოდ ჩვენვე უნდა გამოვნახოთ საერთო ენა. ვინც ამაში დაგვეხმარება, დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ.

**კობა ბენდელიანი**

პლანეტარიუმი

**საით წავა ახლო აღმოსავლეთი, რომელსაც აზანზარებს რევოლუციური გამოსვლები? როგორი პოლიტიკა უნდა განახორციელონ სხვა ქვეყნებმა არაბულ სამყაროსთან დაკავშირებით? ამ საკითხებზე ვესაუბრებით ისრაელისა და ახლო აღმოსავლეთის შესწავლის ინსტიტუტის პრეზიდენტს ევგენი სატანოვსკის.**

# როგორ კეთდება ეს აღმოსავლეთში

**— რა ელოდება ახლა არაბულ სამყაროს? მოვლენ ხელისუფლებაში რელიგიური ექსტრემისტები, როგორც ამას ბევრი წინასწარმეტყველებს? თუ არაბული ქვეყნები განვითარდებიან „უფლებებისა და თავისუფლების“ გზით?**

— ექსტრემისტებს ყოველთვის შეუძლიათ ხელისუფლებაში მოსვლა რევოლუციების შედეგად. მით უმეტეს, იმ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკა და რელიგია განუყოფელია. განსაკუთრებით საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობის ზრდის დროს.

რაც შეეხება დასავლურ გზას... იმისთვის, რომ ამ გზით განვითარდე, უნდა იყო დასავლეთი, უნდა გქონდეს ის ისტორია რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში, როგორც ამას ადგილი აქვს მხოლოდ ევროპაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. აგრეთვე, დიდი შესწორებებით — უმეტესად ძველი სამყაროდან ემიგრანტებით დასახლებულ რამდენიმე ქვეყანაში.

არაბული ცივილიზაცია მეტად თავისებურია და ნაკლებად ემორჩილება პერეფორმატირებას. ალექსანდრე მაკედონელსაც კი, როდესაც დაიპყრო სპარსეთის იმპერია და ეგვიპტე, მოუწია უარი ეთქვა იდეაზე განევითარებინა იქ ელინისტური ყაიდის სახელმწიფო.

ევროპული ცივილიზაციის ქვაკუთხედი — პიროვნების თავისუფლებაა. აღმოსავლურ სისტემაში პრიორიტეტი კოლექტივის უფლებებს ენიჭება.



დასავლური სქემის დროს იცავენ უმცირესობათა უფლებებს, მათ შორის სექსუალურ უფლებებს, ვინაიდან ყველა უმცირესობა პიროვნებებისგან შედგება. აღმოსავლური ტიპის სახალხო ხელისუფლება ნიშნავს, რომ ქვეყანას მართავს დიქტატორი ან მონარქი. აღმოსავლეთში ერთპიროვნული მმართველის ამოცანაა — დაიცვას ბალანსი სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის, ვინაიდან თითოეული მათგანი მას რალაცისთვის სჭირდება. ასე იყო თურქეთში, სადაც ბერძნები და სომხები სულთნების დროს ცხოვრობდნენ შედარებით მშვიდად, ხოლო როდესაც ქემალ ათათურქის დემოკრატიული მთავრობა მოვიდა, დაიწყო ყველასთვის ცნობილი ისტორია, რომელსაც დღეს სომხების გენოციდს უწოდებენ.

ბევრი მათგანი, ვინც კარგად მუშაობს დასავლეთში, როდი შეიძლება იყოს გამოყენებული აღმოსავლეთში.

თუ მეზობლებს შეეკითხებით, რადიმიჩები არიან ისინი თუ ვიატიჩები, ისინი ძალიან გაოცდებიან. ეს ხომ ასეა? არაბული სამყარო მხოლოდ ასე ცხოვრობს. ტომებსა და კლანებს იქ დღემდე აქვთ დიდი, თუ უმთავრესი არა, მნიშვნელობა საზოგადოებაში.

**— მიუხედავად ამისა, ბევრი მეთვალყურე ამტკიცებს, რომ პროტესტის მამოძრავებელი ძალა სწორედ ახალგაზრდობაა, „ახალი ტიპის“ განათლებული არაბები... შესაბამისად ისინი შექმნიან „ახალი ტიპის“ საზოგადოებას.**

— განათლებული არაბული ახალგაზრდობა უბრალოდ არის წინ წამოწეული, როგორც ტარანი. მას სრულიად სხვა ხალხი მოჰყვება. როდესაც მღელვარება დასრულდება, ამ ქვეყნებში დარჩებიან ის პოლიტიკოსები, ვინც გადარჩება. ძირითადად — რბილი ისლამური ყაიდისა, როგორც თურქეთში, უფრო იშვიათად — მკაცრი, როგორც ირანში. ამგვარი პოლიტიკოსები იქნებიან მეჯლისის წარმმართველები ახლო აღმოსავლეთში. მაღალი წრის განათლებული ახალგაზრდობა კი — ვის ეხსომება... ირანის შახი ფეხლევიც განათლებულმა ხალხმა, ინტელიგენტებმა „ტუდეს“ კომუნისტური პარტიიდან ჩამოაგდეს. მაგრამ რაღაც ისინი დიდი ხანია აღარ ჩანან პოლიტიკურ ჰორიზონტზე. მარტო ჰომეინი დარჩა.

**— ზოგიერთმა არაბისტმა დაიწყო საუბარი პანარაბული ტენდენციების გამოჩენის, მოქალაქეთა მისწრაფების შესახებ — გაერთიანდნენ ეროვნული ნიშნით და დაუპირისპირდნენ დასავლურ გავლენას...**

— არაბები ხალიფატის დროიდან თავიანთ თავს უპირისპირებდნენ ევროპას. მაგრამ ესენი იყვნენ სხვა არაბები და სხვა სახელმწიფო. იგი დაიშალა ზუსტად ისეთივე სიჩქარით, როგორითაც ელიტა, რომელიც წავიდა არაბეთის ნახევარკუნძულიდან, შთანთქა დაპყრობილი ქვეყნების — სპარსეთის, იემენის, ტუნისის, ეგვიპტის, ლიბანის — ელიტარული ჯგუფები.

იხ. 8 გვ.

◎ კითხული კაცის აზრი



***ხელისუფლება აცხადებს, რომ უკვე აქტიურად ზრუნავს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის და რომ ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ჰიბრიდული სიმინდის პროგრამა, რომელიც „უახლოეს მომავალში საქართველოს სიმინდის ექსპორტიორ ქვეყნად აქცევს“. ოფიციალური ინფორმაციით, ჰიბრიდული სიმინდის თესლის შეძენის სურვილი უკვე 35 000 ადამიანმა გამოთქვა. ნიშნავს თუ არა ეს ამ დარგის წარმატებულად განვითარების დასაწყისს და, საერთოდ, უნდა ყოფილიყო თუ არა მესიმინდეობა პრიორიტეტული?, — ამ საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ სოფლის მეურნეობის ექსპერტს პაატა კოღუაშვილს ესაუბრა.***

# საქმეს მცოდნე კადრები სჭირდება და არა უცოდინარი ბავშვები!

— ალბათ, ვიღაცამ ურჩია პრეზიდენტს, განევითარებინა ეს დარგი, მაგრამ დარგები და, მით უმეტეს, სოფლის მეურნეობა ასე არ განვითარდება. აღნიშნული ჰიბრიდული სიმინდი არც კი დარაიონებიათ, ანუ არ არის გამოცდილი სხვადასხვა ნიადაგში, არ ვიცით, ამა თუ იმ ნიადაგურ პირობებს როგორ შეეგუება. ძალიან დიდი მოსამზადებელი სამუშაოებია ჩასატარებელი, პლუს, ამას ემატება საქართველოს ნიადაგების მდგომარეობა. ჩემს კოლეგასთან გამოვიკვლიე საქართველოს ნიადაგებში საკვები ელემენტების ბალანსის მდგომარეობა და კატასტროფული შედეგი მივიღე. ჩვენი ნიადაგები აბსოლუტურად გამოფიტულია აუცილებელი ელემენტებისგან.

რომელიმე რაიონში ამ სიმინდით შეიძლება ოდნავ უკეთესი მოსავალი მიიღონ, ისიც აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის სასუქების გამოყენების შემთხვევაში, მაგრამ სხვა რაიონში შეიძლება, საერთოდ არ გაამართლოს და ცუდი მოსავალი მოვიდეს. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, სავალალოა გლეხისთვის. თესლის ფასსაც კი ვერ გადაიხდის, რომელსაც განვადებით 7 თვის მანძილზე ახდევინებენ. თანაც ამ სიმინდის დათესვა დასავლეთ საქართველოში რეკომენდებული არ არის, რადგან ადგილობრივი ჯიშების დამტვერიანების საფრთხე არსებობს და ამან შეიძლება ცუდი შედეგი მოგვცეს.

რაც შეეხება სიმინდის საჭიროებას, აღნიშნული ჯიშის სიმინდი გამოიყენება როგორც მეცხოველეობაში, ისე სასურსათოდ. ამერიკელები ძირითადად მეცხოველეობისთვის აწარმოებენ. იქ მეცხოველეობაში კვების სულ სხვა სტრუქტურაა — 90 პროცენტს მარცვლეულს იყენებენ, დანარჩენ 10 პროცენტს კი მინერალურ დანამატებს და იმიტომ. ჩვენ სხვა სისტემა გვაქვს. ჩვენი მეცხოველეობა დაფუძნებულია ბალახეულზე, ნახევრად ბაგური სისტემაა. ამის გარდა, სიმინდი სასურსათო საკვებია. უნდა ვიცოდეთ, ჩვენი ქვეყანა რა ამოცანის წინაშე დგას: ვილაცისთვის საექსპორტოდ ამზადოს ის, თუ თავისი სასურსათო პრობლემები გადაჭრას. კატასტროფული სასურსათო პრობლემის წინაშე ვდგავართ. საქართველო სიმინდის ექსპორტს მხოლოდ 1895-1897 და 1910-1912 წლებში აწარმოებდა, ეს იმიტომ მოხდა, რომ იმ დროს მთელს ევროპაში საშინელი კრიზისი იყო. მაგრამ ექსპორტი იმდენად უმნიშვნელო და მცირე იყო, რომ ილია ჭავჭავაძემ მაშინვე ატეხა განგაში. ჭავჭავაძის აზრით, სიმინდის ექსპორტზე აქცენტის გაკეთება არ შეიძლებოდა.

ილია ამბობდა: სიმინდი და ხორბალი იმდენი უნდა მოვიყვანოთ, რომ ჩვენს შიდა ბაზარს ეყოს და დაგვაპუროს. საექსპორტოდ, თუ რამე გვინდა, სხვა დარგებს უნდა მივხედოთ. აბსოლუტურად მართალი იყო ეს კაცი. გარდა ამისა, სანამ ექსპორტამდე მივალთ, ჰიბრიდული სიმინდის პროგრამის წარმატებულად განხორციელებისთვის მთელი რიგი სამუშაოებია ჩასატარებელი. ასე კი არ არის, მოკიდე ხელი, დათესე და მოვა. ამისთვის მთელი სისტემაა მოსამზადებელი. ჯერ უნდა მოწესრიგდეს სარწყავი სისტემა, დანიადაგება, მექანიზაცია, წამლობა, პესტიციდების სასუქების გამოყენება, ყვითელი ჟანგას პრობლემა და ა.შ.

### რატომ ეეჭვება სოფლის მეურნეობის ექსპერტს, რომ სიტყვას საქმე მოჰყვება?

ეს ე.წ. ჰიბრიდული პროგრამაც ჩავარდნილია. დასდევენ ახლა დასავლეთ საქართველოს რეგიონებში ოჯახებს სათითაოდ და თითო ვედრო სათესლე სიმინდის ყიდვას აიძულებენ. ასეთი ძალადობრივი, გაუაზრებელი მეთოდებით სოფლის მეურნეობას ვერ განავითარებენ.

ერთ-ერთი ასეთი პროგრამის კრახით დასრულების მაგალითი იყო შარშან ჰიბრიდული ჯიშის ხორბლის შემოტანა. შემოიტანეს ხორბლის ე.წ. უხვმოსავლიანი ჯიში და ვერაფერი მიიღეს იმიტომ, რომ წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოები არ ჩატარდა. მოსავლის თითქმის 50 პროცენტი თაგვმა გაანადგურა. ამას დიდი მუშაობა და გამოცდილება სჭირდება. ადრე სათესლე და საჯიშე მეურნეობის ტესტი არსებობდა, რომელიც მსგავსი პრობლემებისგან თავის არიდებას ითვალისწინებდა.

**— დღეს აღარ მუშაობენ ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც მსგავს სამუშაოებს ჩაატარებენ?**

— გაუქმებულია ყველაფერი! არადა, ასეთი სამუშაოების გარეშე სოფლის მეურნეობის აღორძინება შეუძლებელია. მესიმინდეობის დარგის განვითარება ქართველი ერის წინაშე მდგარ ამოცანას ვერ გადაჭრის. ჩვენ გვჭირდება სერიოზული რეფორმები და ეს რეფორმა არ არის მხოლოდ სიმინდის რეფორმა. თუ გვინდა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში მდგომარეობა დალაგდეს, საჭიროა სისტემური ცვლილებები. ეს ცვლილებები უნდა განხორციელდეს კომპლექსურად. სოფელს უნდა მივუდგეთ არა როგორც ამ დარგის მწარმოებელ სექტორს, არამედ როგორც ტერიტორიულ ერთეულს, რომელსაც ესაჭიროება კომპლექსური განვითარება. სოფლად უნდა მოწესრიგდეს და გადაწყდეს როგორც აგრარული, ისე სოციალური, საყოფაცხოვრებო და სხვა საწარმოო ინფრასტრუქტურის პრობლემები.

პრეზიდენტი შეცდომაშია შეყვანილი. მე არ მინდა, ეს ქვეყანა მოიშალოს. არ მინდა, გლეხკაცი რომ განადგურდეს. ქვეყნისთვის გლეხკაცის, როგორც მწარმე სუბიექტის გაქრობა კი არ არის ტრაგედია, არამედ სოფლის გაქრობა, რომელიც ეროვნული კულტურის საძირკველია, ყოფაცხოვრების წესის შემოქმედი. ჩვენს ე.წ. განათლებულ სოფლის მეურნეობის მინისტრს კი, ეს სულ არ ანაღვლებს.

**აგრარულ საკითხებში უცოდინარი მინისტრი გამოდის მაღალი ტრიბუნიდან და ხალხს ატყუებს: შარშან 2000 ჰექტარზე დათესეს ე.წ. უხვმოსავლიანი ხორბალი და 40-პროცენტიანი მოგება ნახესო. ტყუილია ეს,** რადგან მოსავლის 50 პროცენტი თაგვმა გაანადგურა. ეს იმიტომ, რომ წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოები არ ჩაატარეს. თაგვს რა გამოლევს მინდორში? რა, დღეს გაჩნდა? — ოდითგანვე იყო, მაგრამ ქართველი გლეხკაცი წინასწარ ღონისძიებებს ატარებდა, მიწას დატბორავდა ხოლმე, ან თესლს ამუშავებდა ქიმიურად და ა.შ. ეს მთელი პროცედურებია.



**— ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შემდეგ, პირველ რიგში, რომელი დარგების განვითარებაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი, ჩვენი ნიადაგები რის საშუალებას იძლევა?**

— ყველა მხარეს ექნება თავისი სპეციალიზაციის განმსაზღვრელი. გარდა ამისა, ამ მოთხოვნილებას აყალიბებს ბაზარი. ჯერ შიდა ბაზრის მოთხოვნილება უნდა დაკმაყოფილდეს და მერე — გარე ბაზრის. ისეთი მცირემიწიანი ქვეყნის მიერ, როგორიც საქართველოა, ექსპორტზე აქცენტის გაკეთება არასწორია. მას ჯერ თავისი თავი აქვს გამოსაკვები. ამ შემთხვევაში ექსპორტი, ანუ ვალუტის შოვნა, მეორადი ამოცანაა. **საქართველოში ჩამოვიდა გაეროს თანამედროვე სოციალური ინსტიტუტის დირექტორი ჰუდო ჰემოსტროფერი და თქვა: ეს რა უბედურება დაიჩემეთ, რომ გგონიათ ექსპორტია მთავარიო. ჯერ თქვენი შიდა ბაზრის პრობლემები გადაწყვიტეთო.**

საქმე ისაა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს არა აქვს სტრატეგია. აგრარული პოლიტიკა ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული და პრიორიტეტები არ არის განსაზღვრული. ამ ქვეყანაში სამეწარმეო ფორმებია შესარჩევი. ამათ უნდა გაიგონ, რომ საზოგადოებრივი მეურნეობის გამოთიშვა არ შეიძლება. ეს ყველაზე რეგულირებადი დარგია მთელს მსოფლიოში. სახელმწიფოს არ სურს, რომ თავი შეიწუხოს მაორგანიზებლის ფუნქციის კისრებით და სულელურ ლიბერალიზაციაზე გველაპარაკება. ვერ გაიგეს, რომ ყველაზე განვითარებული დემოკრატიების ქვეყნებს ყველაზე განვითარებული სოფლის მეურნეობა აქვთ.

**— ბატონო პაატა, როდესაც პრეზიდენტი სოფლის მეურნეობის მნიშვნელობაზე ალაპარაკდა, ექსპერტები შიშობდნენ, რომ ეს მხოლოდ პიარი არ ყოფილიყო და სიტყვები სიტყვებად არ დარჩენილყო. დღევანდელი გადასახედიდან რას ფიქრობთ, მართლაც მხოლოდ პიარია, თუ შედეგი უცოდინრობის გამო არ ჩანს?**

— იმის განცდა მქონდა, რომ ის, რაც საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, გულწრფელი იყო. მაგრამ სიტყვებს საქმედ ქცევა სჭირდება. ის უწყებები კი, რომლებმაც სიტყვა საქმედ უნდა აქციონ, არაფერს აკეთებენ.

აგროსასურსათო სფეროს განვითარების სტრატეგია და აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭო თუ არ ჩამოყალიბდება, არაფერი გამოვა.

მე ღია წერილით მივმართე საქართველოს პრეზიდენტს. პირველი იყო **„გადავარჩინოთ ქართული სოფელი“** და მეორე **„გზა, რომელიც გადაარჩენს ქართულ სოფელს“**. იქ ვწერდი, რომ აუცილებელი იყო აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭოს შექმნა. პრეზიდენტმა მართლაც გააკეთა განცხადება, აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭოს შექმნის აუცილებლობაზე. მოგვიანებით პრემიერ-მინისტრი გამოვიდა და თქვა, რომ იგი სოფლის მეურნეობის სამინისტროში უნდა შეიქმნას და მას მინისტრმა უნდა უხელმძღვანელოსო.

**კაცო, სოფლის მეურნეობის მინისტრს რომ საქმის ნორმალურად კეთება შეეძლოს და თავს ართმევდეს, მაშინ რაღა საჭიროა ამ საბჭოს შექმნა?!**

**მთავრობა უნდა შეელიოს სოფლის მეურნეობის ამჟამინდელ მინისტრს, და არა მარტო მას, მთელი სამინისტროს რეორგანიზაციაა საჭირო. კვალიფიციური და საქმის მცოდნე კადრებია საჭირო, რომელთაც სოფლის ბედი მართლაც აღელვებთ.** ვინც ახლა არის, ვერ იაზრებს ამ დარგის მნიშვნელობას და ვერ აკეთებენ საქმეს. მათ ეზარებათ თავის შეწუხება, რადგან არ უყვართ ქართული სოფელი და ქართველი გლეხი. გაწყვეტილი აქვთ კავშირი აგრომეწარმეებთან და აგრარულ მეცნიერებასთან.

თუ არ დავიწყეთ კოოპერაციის პროცესი, არაფერი გამოვა. მისაღებია შესაბამისი კანონები კოოპერაციის შესახებ. უნდა გავიგოთ, რომ ეს მთლიანი პროცესია და რომელიმე ერთი სეგმენტის განვითარება ვერ წყვეტს პრობლემას. სისტემური და კომპლექსური ცვლილებებია საჭირო. წარმოებითი ურთიერთობებია დასალაგებელი. სოფლის მეურნეობის განვითარება განვითარებულმა ქვეყნებმა ამით, ახალი სამეწარმეო ფორმებით, სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემის შექმნით დაიწყეს. გლეხკაცს სამადლოდ არ სჭირდება 20 ლიტრი დიზელი და 20 კგ სასუქი. მას სჭირდება საკრედიტო სისტემა, მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე ხელმისაწვდომობა, აგროტექსერვისის ხელმისაწვდომობა.

**აი, ეს საკითხები უნდა დაალაგოს სახელმწიფომ. ამ საკითხებზე უნდა მუშაობდეს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მაგრამ ისინი ამას ვერ გაიგებენ, რადგან უცოდინარი ბავშვები არიან. რამდენიმეთვიანი თანამშრომლობის შემდეგ დავასკვენი, რომ მათგან ეს არ გამოვა.**

**პარლამენტში დამცველები გამოუჩნდნენ და ლაპარაკობენ, ეს კეთდება, ის კეთდებაო. ნუთუ პარლამენტში არავის გაუჩნდა აზრი, რომ ამდენი ხანია, იძახიან, ეს კეთდება, ის კეთდება და რით ვეღარ გაკეთდა საქმე, შედეგი სად არის? პრეზიდენტი ამბობს, შედეგი კი არ ჩანს. არაბული ანდაზაა, მოლა ამბობს: „ჩემს სიტყვას კი ნუ დაუჯერებთ, ჩემს ნამოქმედარს დაუჯერეთო“.**

◎ ინფორმაცია



# სეპარატისტები დრანდის ციხეს არემონტებენ

**აფხაზი სეპარატისტები დრანდის წინასწარი დაკავების საგამოძიებო იზოლატორში სარემონტო-აღდგენით სამუშაოებს აწარმოებენ. ეს განცხადება აფხაზეთის ე.წ. შს მინისტრმა ლეონიდ ძაპშბამ სოხუმში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.**

**— ამჟამად დრანდის საგამოძიებო იზოლატორში ის პატიმრები იმყოფებიან, რომელთა მიმართ სასამართლოს განაჩენი უკვე გამოტანილი აქვს. მსჯავრდებულები რთულ პირობებში იმყოფებოდნენ, ვინაიდან იზოლატორში უკვე კარგა ხანია, რემონტი არ ჩატარებულა, — განაცხადა ე.წ. მინისტრმა.**

**მისივე თქმით, გეგმაში მთელი ზონის „მწყობრში მოყვანაა“ გათვალისწინებული. ამჟამად სარემონტო სამუშაოები ფასადზე მიმდინარეობს, მერე კი შიდა სამუშაოებსაც დავიწყებთ, — განაცხადა ძაპშბამ.**

ХО-ЭОВ-ЭНО

◉ სიმართლე ითქვა

**გრიგოლ ლორთქიფანიძე იყო დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრი, დამოუკიდებელი საქართველოს თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას მოადგილე. გარკვეულ პერიოდში იყო ჯერ სამხედრო მინისტრი და მერე — განათლების მინისტრი. იგი ბავშვობიდანვე ჩაება ცარიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო რუსეთში 1917 წლის გადატრიალების შემდეგ — ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.**

# სამშობლოს შეწირული რაინდი

გრ. ლორთქიფანიძე მკაცრად აკრიტიკებდა ბოლშევიკურ მთავრობას, ეკამათებოდა იოსებ სტალინს, სახალხო განათლების კომისარ ბუბნოვს, საკონსტიტუციო კომისიას, მისი დაჟინებული მოთხოვნით საბჭოთა კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს უფლება აქვთ სურვილის შემთხვევაში გავიდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან.

გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ არჩეული პოლიტიკური კურსი კარგად ჩანს მის ფუნდამენტურ ნაშრომებში, როგორებიცაა „ფიქრები საქართველოზე", „პოლიტიკური ანდერძი" და სხვა. კომუნისტური წყობის პერიოდში ყველა მისი ნაშრომი ტაბუდადებული იყო, როგორც მოღალატისა. 1995 წელს პირველად დაიბეჭდა მისი წიგნი „ფიქრები საქართველოზე", შემდეგ — მისი სხვა ნაშრომებიც.

1998 წლის 17 ოქტომბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით შეიქმნა გრ. ლორთქიფანიძის საზოგადოება. მისი თავმჯდომარეები იყვნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები გურამ ლორთქიფანიძე, ელვენ კუპატაძე, ალექსანდრე ბენდიანაშვილი. ამჟამად თავმჯდომარეა პაატა სურგულაძე.

1921 წლის 18 მარტს საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში წავიდა. წასვლის წინ ნ. ჟორდანია სასტიკად ღელავდა იმის გამო, რომ ბათუმისა და მთელი აჭარის დასაპყრობად ათათურქის ჯარები აჭარაში შეიჭრნენ. აჭარის საქართველოდან მოწყვეტას ნ. ჟორდანია ვერ ურიგდებოდა და ამის გამო, თავისთან იხმო ბათუმის მაშინდელი რევკომი სერგო ქავთარაძე და უთხრა: — ახლა გადავდოთ გვერდზე ჩვენი უთანხმოება და არ მივცეთ საქართველოს მტრებს ბოროტად გამოიყენონ ჩვენი უთანხმოება. თქვენ არც სამხედრო გენერლები და არც შეიარაღებული ძალები არ გყავთ. ჩვენ გვყავს ნიჭიერი გენერლები და გაწვრთნილი შეიარაღებული ძალები, რომლებთანაც უნდა მოძებნოთ საერთო ენა და ერთიანი ძალით განდევნოთ ქიაზიმ-ბეის ჯარი ბათუმიდან. ეს რჩევა მიიღო ს. ქავთარაძემ, მაგრამ არ მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალმა გ. მაზნიაშვილმა. იგი არ ცნობდა ბათუმის რევკომსა და მით უფრო, ბოლშევიზმს.

გ. მაზნიაშვილი სასტიკად აღელდა, როცა გაიგო თავისი მთავრობის ემიგრაციაში წასვლის ამბავი, რის გამოც მათ ერთი მაგრად შეუკურთხა და ბათუმის რევკომიც ზედ მიაყოლა.

ემიგრაციაში წასასვლელად გამზადებულ გემზე აიჭრა ს. ქავთარაძის მოადგილე ჟლენტი და ნ. ჟორდანიას მოახსენა, გ. მაზნიაშვილი სასტიკი წინააღმდეგია იმოქმედოს ბათუმის რევკომთან ერთად, რადგან იგი მას არ სცნობსო.

ამ ამბით შეწუხდა ნ. ჟორდანია და მთავრობის წევრებს მიმართა, როგორ მოქცეულიყვნენ, რა გამოსავალი არსებობდა. მთავრობის ზოგიერთმა წევრმა წამოაყენა წინადადება, მიეწერათ წერილი თავმჯდომარის ხელმოწერით და აეხსნათ, თუ რატომ იყო საჭირო დღეს ბოლშევიკებთან ერთად დაპირისპირებოდა ქიაზიმბეის.

წერილის მიწერის ეს ხერხი იქვე უარყო ყოფილმა სამხედრო მინისტრმა და ქუთაისის საზავო მოლაპარაკების ხელმძღვანელმა გრ. ლორთქიფანიძემ. მან ნ. ჟორდანიას მიმართა, რომ წერილით გ. მაზნიაშვილს აზრს ვერ შეაცვლევინებდნენ, აჭარა საფრთხის წინაშეა. დამრთეთ ნება, დავრჩე ბათუმში და მაზნიაშვილთან ერთად შევებრძოლო თურქეთის ჯარს. მე ხომ გარკვეული პერიოდი გ. მაზნიაშვილის სამხედრო მინისტრი ვიყავი და მის ბუნებას კარგად ვიცნობო".

მთავრობის ზოგიერთმა წევრმა გააფრთხილა გრიგოლი, რომ საფრთხეში იგდებდა თავს. გრიგოლმა კი მათ უპასუხა, რომ სამშობლო მისთვის ყველაფერი იყო.

ნ. ჟორდანიამ მოიწონა გრ. ლორთქიფანიძის რისკზე წასვლა, რადგან იცოდა გრ. ლორთქიფანიძის დონე და სამშობლოსათვის თავდადება.

გრ. ლორთქიფანიძე თავისი ცოლ-შვილით ჩამოვიდა მარსელისაკენ მიმართულ გემიდან. ცოლ-შვილი ვანის რაიონის სოფელ ისრითში მანქანით გაამგზავრა, თვითონ კი ეახლა ბათუმის რევკომს კაბინეტში. გრ. ლორთქიფანიძემ ს. ქავთარაძეს გაანდო ბათუმში დარჩენის მიზანი და იქვე მოხაზა თავისი სამხედრო სტრატეგია. მის შემდეგ სთხოვა ქავთარაძეს სასწრაფოდ დაკავშირებოდა საჯავახოში მდგარ გ. მაზნიაშვილს და გადაეცა, რომ ის აქ, ბათუმში ელოდებოდა მას. გ. მაზნიაშვილი სასწრაფოდ ჩავიდა ბათუმში და შეხვდა გრ. ლორთქიფანიძესა და ს. ქავთარაძეს. გადაწყდა, წინ აღდგომოდნენ ქიაზიმ-ბეის შეიარაღებულ ძალებს. გრიგოლ ლორთქიფანიძემ დაარწმუნა გიორგი მაზნიაშვილი, რომ სამშობლო საფრთხეშია და შველას ითხოვს. გ. მაზნიაშვილმა იმ ღამესვე თავისი მოადგილეები



მთელი შემადგენლობით იხმო ბათუმში.

1921 წლის 19 მარტს დილის 6 საათზე საჯავახოდან ჩამოსულ ჯარს სიტყვით მიმართა გრ. ლორთქიფანიძემ. იმავე დღის 12 საათზე ბათუმის მილიციის უფროსის მიერ შეკრებილ მოხალისეებს სიტყვით მიმართა ჯერ გ. მაზნიაშვილმა და მერე გრ. ლორთქიფანიძემ.

კახაბრის ფორტზე ქართველ მებრძოლებს მეზარბაზნეები ჩაუხოცეს და ამიტომ საჭირო გახდა მოხალისეთა შორის მეზარბაზნეების მოძებნა. 20 მარტს ბათუმის მილიციის უფროსმა 20 მოხალისე მეზარბაზნე მიუყვანა გრ. ლორთქიფანიძეს. მასთან საუბრის შემდეგ მეზარბაზნეები კახაბრის ფორტზე გადაიყვანეს და ზარბაზნები ჩააბარეს.

თურქებმა სასტიკი ბრძოლა გაშალეს კახაბრის ფორტზე. ქართული ჯარი შევსებას ითხოვდა, მაგრამ გ. მაზნიაშვილს რეზერვი არ ჰყავდა. მაშინ გრ. ლორთქიფანიძემ გ. მაზნიაშვილს შესთავაზა სტეპანოვსკისა და ანაროს ფორტებიდან კახაბრის ფორტზე გადაეყვანათ ქართული ჯარი. ხოლო სტეპანოვკის ფორტზე გადაეყვანათ წითლების მიერ გამოგზავნილი ჯარი გენერალ ჟლობას სარდლობით. ეს ჯარი განლაგებული იყო ბათუმის ქალთა გიმნაზიაში.

თუ თურქები მეორედ გაბედავდნენ ჟლობას ჯარზე თავდასხმას, ამჯერად ჟლობა აღარ გაჩერდებოდა და ხელს გამოიღებდა. თუ თურქები რუსის ჯარს თავს არ დაესხმებოდნენ, ჟლობას არ ჰქონდა უფლება, ებრძოლა თურქების წინააღმდეგ, რადგანაც მიმდინარეობდა თურქეთ-რუსეთის მოლაპარაკება.

ქართულმა ჯარმა გაიმარჯვა ამ ბრძოლაში. თურქები დაფრთხნენ და სამი დღის ბრძოლის შემდეგ ჭოროხს იქით გადავიდნენ.

აჭარის გათავისუფლების მეორე დღეს, გმირულად დაცემული 84 ქართველის დაკრძალვის ცერემონიალზე სიტყვით გამოსულმა გრ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა ქართველი გმირების წვლილი აჭარის გათავისუფლების საქმეში.

აზიზიეს მოედანზე გრ. ლორთქიფანიძის სიტყვის შემდეგ იქუხა ზარბაზნებმა. სალუტი მიეძღვნა დაღუპულ გმირებს.

გრ. ლორთქიფანიძემ მთელი თავისი ცხოვრება საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის საქმეს მიუძღვნა. 1924 წელს მან პირველმა იწინასწარმეტყველა, რომ რუსული ბოლშევიზმის მომავალი კრახით დამთავრდებოდა. ეს ფაქტი დღეს ჩვენთვის ნათელია.

ჩეკამ გრ. ლორთქიფანიძე დააპატიმრა. 1937 წლის 2 სექტემბერს, მის დაბადების დღეს, ჯალათებმა მას ცემით ამოხადეს სული. უცნობია სად გადააგდეს მისი ცხედარი.

დიდია გრ. ლორთქიფანიძის წვლილი აჭარის გათავისუფლების საქმეში. გ. მაზნიაშვილმა გრ. ლორთქიფანიძესთან ერთად დიდ გამარჯვებას მიაღწია. გ. მაზნიაშვილის წვლილი აჭარის გათავისუფლების საქმეში კარგად ჩანს მისადმი მიძღვნილ თეატრალურ სპექტაკლში, მაგრამ საერთოდ არ ჩანს გრ. ლორთქიფანიძის ღვაწლი ამ საქმეში. სამაგიეროდ წინა პლანზეა წამოწეული სერგო ორჯონიკიძის როლი. თითქოსდა მთელ აჭარის ბრძოლებს იგი აკონტროლებდა. ეს არის ისტორიული სინამდვილის დამახინჯება, რადგანაც აჭარის გათავისუფლებაში ს. ორჯონიკიძეს მონაწილეობა არ მიუღია. დღემდე სიმართლე არავის უთქვამს, არადა ეს ვიღაცას უნდა ეთქვა. და ეს ვიღაცა აღმოჩნდა ნიჭიერი შემოქმედი, 42 წიგნის ავტორი ტარიელ მუმლაძე, რომელმაც დაწერა პიესა „გრიგოლ ლორთქიფანიძე — სამშობლოსათვის თავდადებული რაინდი". ამ პიესამდე ტ. მუმლაძემ დაწერა წიგნი „განაჩენი" (გრ. ლორთქიფანიძის ჩეკაში დაკითხვების შესახებ). დაე, იცოდეს ქართველმა ახალგაზრდობამ ვინ იყო გრიგოლ ლორთქიფანიძე.

*პატივისცემით*

**თეიმურაზ ლორთქიფანიძე,**
გრიგოლ ლორთქიფანიძის ვაჟი.

◉ ეს საგულისყუროა

**საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ამის შესახებ არ აქვს სრულყოფილი ინფორმაცია, თუ როგორ შეიქმნა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.**

# როდის და რატომ შეიქმნა
# სამხრეთი და ჩრდილოეთი ოსეთი

ცნობილია, რომ 1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმიის ნაწილები გ. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის მეთაურობით თბილისში შემოიჭრნენ. ამ მზაკვრულ აქციას დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს ანექსია და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა მოჰყვა. იმავე წლის 4 მარტს წითლებმა აიღეს აფხაზეთი, 5 მარტს — ცხინვალი, ხოლო 15 მარტს — აჭარა.

ამის შემდეგ ვ. ი. ლენინის ინიციატივით შეიქმნა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (ფედერაცია). ლენინსვე ეკუთვნის საბჭოთა რესპუბლიკებში ავტონომიური ერთეულების შექმნის იდეა, რაც მოგვიანებით გაჟღერდა კიდეც მის მიერვე ციტირებულ წერილში „ეროვნების შესახებ და ავტომატიზაციის საკითხისათვის".

1922 წელს გ. ორჯონიკიძე აირჩიეს საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად. ამ თანამდებობაზე გ. ორჯონიკიძემ განახორციელა ვ. ი. ლენინის ხსენებული იდეა. მისი ინიციატივით 1921 წლის 21 მარტს შეიქმნა აფხაზეთის ასსრ, 16 ივლისს — აჭარის ასსრ, ხოლო 1922 წლის 30 აპრილს — ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ორნახევარი წლის შემდეგ, 1924 წლის 7 ივლისს, ე. წ. სამხრეთ-ოსეთის მაგალითზე რუსეთის ფედერაციის ცეკას დეკრეტით ჩრდილოეთ კავკასიაში მთიელმა ასსრ-ს ოსეთის ადმინისტრაციული პროვინციის (ალანიის) ბაზაზე შეიქმნა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც 1936 წლის 5 დეკემბერს გარდაიქმნა ასსრ-დ. მის დედაქალაქად გამოცხადდა ჩრდილოეთ კავკასიის ადმინისტრაციული ცენტრი ქ. ვლადიკავკაზი, რომელიც 1944-1954 წლებში ატარებდა სხვა დასახელებებს (ორჯონიკიძე, ძაუჯიყაუ).

კავკასიონის ქედის სამხრეთით და ჩრდილოეთით განლაგებული ოსეთის ავტონომიური ოლქების შექმნის ფაქტი გახდა მათში მცხოვრები ოსი მოსახლეობის ერთი ნაწილის სეპარატისტული განწყობის ჩამოყალიბების მიზეზი. ამ განწყობას გამიზნულად უწყობდა ხელს და ძალზე აღვივებდა ყოფილი საბჭოთა კავშირისა და მისი სამართალმემკვიდრის რუსეთის ფედერაციის სპეც. სამსახურები.



საკმაოდ დაწვრილებითი მონაცემები ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქზე და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაზე მოტანილია საბჭოთა კავშირის ისტორიულ და პოლიტიკურ, აგრეთვე საცნობარო ლიტერატურაში, თუმცა დეტალები მათ შესახებ მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის არაა ცნობილი. ორიოდე წლის წინ აფხაზეთის ასსრ-ს და სამხრეთ ოსეთის ა. ო.-ს შესახებ საინტერესო მონაცემები აისახა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტ დავით დევდარიანის ნაშრომში „Клятвенная книга XXI века" Изд. Технического Университета. Тбилиси, 2006, რომელიც გაეგზავნა გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს, ნატოს გენერალურ მდივანს და გასული მოწვევის საქართველოს პარლამენტს. სამწუხაროდ, ამ გზავნილზე საჭირო რეაგირება არ მომხდარა. ჩემს თავს მივცემ უფლებას, მოვიტანო ზოგიერთი ამონარიდი ამ ნაშრომიდან.

უპირველესად მიზანშეწონილად მიმაჩნია გაზეთის მკითხველს გავაცნო კავკასიის მთავარსარდლის გენერალ ა. პ. ერმილოვის (1816-1826 წ.წ.) მოსაზრება საქართველოში ჩასახლებული ოსი ეროვნების მოსახლეობის შესახებ (გვ. 21-22):

„ჩემთვის სამმართველოდ გადმოცემული ქვეყნის მდგომარეობა ამგვარი იყო. მოქმედი იმპერატორის ტახტზე ასვლიდან საქართველოში მუდამ იდგა ჩვენი ჯარები, მარად მკვიდრდებოდა ჩვენი მართვის სახე იმ საკუთარი კანონების მოქმედებით, რომლებიც შეადგინა მეფე ვახტანგმა და რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ ძველი ძალა. სასამართლო ნაწილი იყო უკვე უკეთეს მდგომარეობაში, შემოსავლები მიწიდან იწყებდა შემოსვლას განსაზღვრულობის დიდი ხარისხით.

იხ. 9 გვ.

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს პრინციპულობამ მნიშვნელოვანი მოკავშირე გაანაწყენა

**თბილისის საქალაქო სასამართლომ დაამთავრა მოსმენა ისრაელელი ბიზნესმენების რონი ფუქსისა და ზეევა ფრენკელის საქმესთან დაკავშირებით და პირველ აპრილს ელოდებიან განაჩენის გამოქვეყნებას. ფუქსი და ფრენკელი დააპატიმრეს ბათუმში შარშან ოქტომბერში საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის ავთანდილ ხარაიძისთვის დიდი ქრთამის მიცემის მცდელობის ბრალდებით. ინციდენტმა გამოიწვია დაძაბულობა ისრაელ-საქართველოს ურთიერთობებში, თელ-ავივმა ისრაელში საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნის დაგეგმილი ვიზიტიც კი გააუქმა.**

მუხლი, რომლის მიხედვითაც ბრალი ედებათ მეწარმეებს, ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას რვა წლამდე ვადით. პროცესის ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ბრალდებულები არ აღიარებენ თავიანთ დანაშაულს და საქმის ობიექტური გამოძიების დროს მათ უნდა მოიპოვონ თავისუფლება. მაგრამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბედნიერ სცენარს ის ვერ ხედავს.

ფუქსისა და ფრენკელის დაპატიმრების ისტორია ბუნდოვნად გამოიყურება, მიუხედავად ვიდეოჩანაწერის არსებობისა, რომელმაც დააფიქსირა ქრთამის მიცემის მცდელობა. საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გადმოცემული ისტორია ტოვებს ერთგვარი უკმარისობის შთაბეჭდილებას. ბიზნესმენების გარემოცვა არაერთგზის გამოხატავდა რწმენას, რომ თუ ფუქსმა და ფრენკელმა გადაწყვიტეს კიდეც ქრთამის მიცემა, მათ ამისკენ უბიძგა საქართველოს მხარემ. უბედურებაში ჩავარდნილი თანამემამულეებისთვის შუამდგომლობას კისრულობდა ისრაელის მთავრობა. მაგრამ კნესეტის დეპუტატების ჯგუფის მიმართვამაც კი ვერ დააკმაყოფილა საქართველოს მხარე. მათი გათავისუფლების მცდელობა მოინდომა „შერეულმა ჯგუფმაც“, რომელიც წარმოადგენს საქართველოდან წამოსული სასულიერო და ბიზნესწრეების წარმომადგენლებს. მაგრამ გასულ კვირას თბილისში ჩამოსული რაბინები იაკობ გუგუშვილი და დავით გროსმანი, აგრეთვე მილიარდერი მიხეილ მირილაშვილი რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდნენ უკან ხელცარიელები. საქართველოს მხარე არ დათანხმდა არც დაპირებებს, მოახდინონ რამდენიმე დიდი ეკონომიკური პროექტის რეალიზება ფრენკელისა და ფუქსის თავისუფლების სანაცვლოდ.

თბილისის პრინციპულობის კომენტირებისას საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა განაცხადა, რომ „საქართველოს არ სჭირდება რონი ფუქსისა და ზეევა ფრენკელის ტიპის ბიზნესმენები“. „მათ მაგალითზე ყველა ის მეწარმე, რომლებსაც სურთ ჩამოვიდნენ საქართველოში ქრთამის მიცემის და შედეგად ფულის გამოძალვის მიზნით სახელმწიფოსგან, ამისთვის ნუ შეწუხდება და დარჩეს თავის სამშობლოში“. მისი სიტყვებით, დაპატიმრებული ისრაელელები 90-იანი წლების დასაწყისში სხვადასხვა კომბინაციების გზით ღებულობდნენ ექსკლუზიურ უფლებას ნავთობის გადაზიდვის, ტრანსპორტირებისა და მოპოვებისთვის. ვარდების რევოლუციამ ბოლო მოუღო „მძარცველურ მეწარმეობას“, მაგრამ ისრაელელები არ შეურიგდნენ ამას, ხოლო როდესაც 7-8 წლის განმავლობაში ვერ შეძლეს, მიეღწიათ სასამართლოებში „სამართლიანობისთვის“, შეეცადნენ ჩინოვნიკების მოსყიდვას, რათა შემდგომში გამოძალონ ფული სახელმწიფოს.

ამ დროს ისრაელის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წერენ იმის შესახებ, რომ ამგვარი პრინციპულობა შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს საქართველოსთვის – ისრაელის პოზიტიური დამოკიდებულება მისადმი მნიშვნელოვნად შეიცვლება. კერძოდ, ამ ცოტა ხნის წინათ თელ-ავივმა მოითხოვა გადაედოთ ისრაელში საქართველოს პარლამენტის სპიკერის დავით ბაქრაძის ვიზიტი, ხოლო ეკონომიკის მინისტრს ვერა ქობალიას აცნობეს იმის შესახებ, რომ მას არ ელოდებიან ისრაელში დიდ ტურისტულ ფორუმზე. შესაძლოა ამავე რიგში ჩავაყენოთ ისიც, რომ საქართველოს მთავრობის რამდენიმე წარმომადგენელი, რომლებიც ჩავიდნენ თელ-ავივში ფეხბურთის ეროვნულ გუნდთან, მატჩს „ბლუმფილდის“ სტადიონზე უყურებდა არა სტუმრების ლოჟიდან, არამედ ტრიბუნებიდან ჩვეულებრივი გულშემატკივრების გარემოცვაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის შეფასებით, ისრაელთან ურთიერთობის მოწესრიგება, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს ინტერესებს შეესაბამება, თუმცა „არა სამართალდაცვის საზიანოდ“. „დაგეგმილი ვიზიტების ჩავარდნა უსათუოდ მიუთითებს ქვეყნებს შორის უთანხმოებაზე, რაც მეტად არასასიამოვნოა და საქართველოს მხარემ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა გადაჭრას ეს პრობლემა. საქართველოსა და ისრაელს შორის ყოველთვის იყო, როგორც მე მიმაჩნია, და დღესაც ადგილი აქვს ყველაზე კარგ ურთიერთობას, რაც გამომდინარეობს ორივე ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებიდან. აქ სრულიად მიუღებელია ამგვარი გაუგებრობა“, – განუცხადა მენაღარიშვილმა ჟურნალისტებს და დაუმატა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა უკიდურესად დაძაბვის შემთხვევაში საქართველო დაკარგავს უდიდესი მნიშვნელობის მოკავშირესა და ბიზნესინვესტიციებს.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

## პლანეტარიუმი

**(მეხუთე გვერდიდან)**

გასული საუკუნის შუა პერიოდში, თუ გახსოვთ, გაჩნდა არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა, დაიშალა სამი წლის შემდეგ. როგორ შეუძლიათ ეგვიპტესა და სირიას შეურიგდნენ იმას, რომ ისინი ერთი ქვეყანაა! ელიტის სხვადასხვა ჯგუფები, არაერთეროვნული ეთნიკური შემადგენლობა...

ეს სლავების კავშირს ჰგავს, რის გულისთვისაც თავის დროზე ნიკოლოზ II დაანგრია რუსეთის იმპერია. რომანოველთა კავშირი, გერმანელთა, ანგლო-საქსონთა კავშირები – ეს ყველაფერი უტოპიაა. არაბულიმით უმეტეს. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ერთადერთი თემა, რომლის მიხედვითაც შეუძლიათ მიიღოს საერთო რეზოლუცია არაბულ სახელმწიფოთა ლიგამ, – ეს არის ისრაელის განადგურება. ეს, რასაკვირველია, მათთვის მნიშვნელოვანი თემაა, თუმცა არც თუ კონსტრუქციული და ნაკლებად შესაფერისი გაერთიანებისთვის. შემდეგ კი, უცბად, გამოირკვევა ხოლმე, რომ აეროპორტი ვახაბისტურ ყატარში აღჭურვილია ისრაელის ელექტრონული დაცვის სისტემით...

**– როგორ აფასებთ ჰიპოთეზას, რომ უწესრიგობანი ახლო აღმოსავლეთში ხელსაყრელია ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და მისგანვეა პროვოცირებული?**

– მშვიდად ვაფასებ. ამერიკელები ყოველთვის იყენებენ სიტუაციას, ყურადღებას აქცევენ კონიუნქტურის ნებისმიერ ცვლილებას. რა უნდა თქვა – ვაჭარი ხალხია. ისინი სამყაროს სხვადასხვა კუთხეში ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში ცდილობენ, მოიყვანონ ხელისუფლებაში ის ხალხი, ვისთანაც, როგორც მათ ეჩვენებათ, უფრო იოლი იქნება მოლაპარაკება, აქტიურად ავითარებენ ნებისმიერ მოძრაობას, იმედის მომცემი დემოკრატიის ყლორტებს, სადაც ისინი შეიძლება გამოვლინდნენ – ყირგიზეთში, საქართველოში, ეგვიპტეში... ეს ამერიკის პოლიტიკის სისტემური შეცდომაა. ამერიკის შეერთებული შტატებისთვის არასტაბილურობა, ცვლილებები – ეს სახალხო მმართველობის ილუზიაა. იგი მხარს უჭერს მღელვარებას მრავალ ქვეყანაში, არ ვარაუდობს, რომ გადაყენებული პრეზიდენტის შემცვლელად შეიძლება მოვიდეს გაცილებით არახელსაყრელი მოღვაწე, დემოკრატიის დამკვიდრებას კი შეიძლება მოჰყვეს დიქტატორული რეჟიმები.

ამერიკის საგარეო პოლიტიკა, თავისი არსით, იმპერიულია: ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს ბევრი ფული და ამბიცია. ის თავს მისიონერად გრძნობს, ისევე როგორც ჩვენ თავის დროზე, როდესაც მთელ მსოფლიოში შეგვქონდა სოციალიზმის იდეები. საერთოდ კი ისინი უტევენ ჩვენს ფოცხებს – დიდი ფულისთვის ცდილობენ, დანერგონ ყველგან თავისი აზროვნების ნიმუში. მაგრამ ახლო აღმოსავლეთის მოსახლეობას ტომობრივი შემეცნება აქვს, რა დემოკრატიაზეა აქ საუბარი...

**– ეგვიპტეში „ორთქლი გამოუშვეს“, პრეზიდენტი ჩამოაგდეს, მაგრამ ცხოვრება უკეთესი ვერ ხდება...**

– ეგვიპტეში დღეს მეტად განუჭვრეტელი სიტუაციაა. მუბარაკი ჯერ კიდევ ორი-სამი წლის წინათ უნდა წასულიყო, გადაეცა ხელისუფლება შეთანხმებული მემკვიდრისთვის. ეს ალბათ იქნებოდა სპეცსამსახურის ხელმძღვანელი ომარ სულეიმანი. ახლა კი ხუნტა, პროტესტების ტალღაზე რომ მოვიდა, ანგარიშების სწორებას ერთმანეთთან დაიწყებს. თუ როგორ და როდის დამთავრდება ეს – ამის თქმა ძნელია.

**– თქვენი აზრით, შეიძლება რაიმე ანალოგის გავლება რუსეთსა და ეგვიპტეში სოციალურ დაძაბულობას შორის? ბევრი აკეთებს ამას დღეს. მათთანაც და ჩვენთანაც ხომ არის უძლიერესი დაყოფა ღარიბებსა და მდიდრებს შორის. არის „უთანასწორობა“ რეგიონებს შორისაც...**

– ვერანაირ მსგავსებას ვერ ვხედავ. ჩვენთან თითქოს არც არის პრეზიდენტი, რომელიც ქვეყანას მართავდეს 30 წელი და აპირებდეს ხელისუფლების გადაცემას თავისი უახლოესი ნათესავისთვის. საზოგადოების ფენებად დაყოფა კი არის ყველგან, სადაც არის ეკონომიკა, მაგრამ ჩვენთან, თუ ვინმეს ხელს არ აძლევს შემოსავლების დონე თავის ქალაქში, შეუძლია, წავიდეს სადაც უნდა სხვაგან. ეს ყველგან ადვილი როდია, მაგრამ ადამიანს, რომელიც მართლაც შეწუხებულია იმით, რომ გამოკვებოს ოჯახი, შეუძლია ეს გააკეთოს. ეგვიპტეში პურის ერთი მესამედი ამერიკულია. იმიტომ, რომ კლიმატია ასეთი და ქვეყანაც ასეთია. საკურორტო ქალაქებში კი, რომლებიც გაჩნდა, როგორც წესი, ისრაელის სამხედრო ბაზების ადგილზე, ცხოვრობს მოსახლეობის სრულიად განსაკუთრებული კონტინგენტი. ის იქ შეიყვანეს სამხედროების წასვლის შემდეგ ტურისტების მომსახურებისთვის. საკურორტო რაიონები იზოლირებული არიან ქვეყნის დანარჩენი ნაწილისაგან. გენტების ბედი XX საუკუნის დასაწყისში. მათ უხაროდათ ნიკოლაშკას ჩამოგდება, რამდენიმე თვის შემდეგ კი ფინეთის აგარაკებზე ლანძღავდნენ კორუფციონერ კერენსკის... მაგრამ მოგვიანებით გადასინჯეს თავიანთი შეხედულებანი. გესმით, ყველას უნდა ყვავილებით ცეკვა ბასტილიის წინ, რობესპიერი კი გილიოტინით არავის სურს. მაგრამ რატომღაც ის ყოველთვის მოდის.

ჩვენ სრულიად სხვა ქვეყანა, ეკონომიკა, ხელმძღვანელი ფინანსური ფენა გვაქვს, სხვაგვარად მუშაობენ სოციალური ლიფტები. ვფიქრობ, რომ რუსეთში დამკვიდრდება პრინ-

# როგორ კეთდება ეს აღმოსავლეთში

მთის ულელტეხილებზე დგანან პატრულები, და უბრალოდ, ისე ნებისმიერი მსურველი წითელ ზღვაში საცურაოდ ვერ მოხვდება.

ამას გარდა, რევოლუციებს ღარიბები და დაჩაგრულები არ ახდენენ. რევოლუციებს აწყობს განათლებული, ამბიციური ხალხი, რომელიც არ არის კმაყოფილი თავისი ადგილით საზოგადოებაში. და აქ სოციალურ ფენებად დაყოფა არანაირ როლს არ ასრულებს.

**– მაგრამ ხომ ვერ უარყოფთ, რომ ჩვენთან იზრდება ხელისუფლებით უკმაყოფილება?**

– მე არ ვიცი ქვეყანა, სადაც კმაყოფილი იქნებოდნენ ხელისუფლებისა. იმითაც კი, ვინც დღეს ოცნებობს რუსეთის ბუნტზე, ალბათ, დაივიწყეს პეტერბურგელი ინტელიცია: თუ გინდა მდიდარი იყო – გამოიმუშავე! ვინაიდან ევროპული მენტალიტეტის რაღაც ნამსხვრევები ჩვენში შემორჩენილია. ამას გარდა, რუსეთელებს აქვთ უმძიმესი გამოცდილება, ხსოვნა იმისა, თუ რა მოხდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. და თუ დღეს ვინმე მოუხმობს ხალხს ბარიკადებისკენ, ბევრი მათგანი, ვინც ვერ იტანს მმართველ ხელისუფლებას, მათ კარგ გზას გაუყენებს. ვინაიდან შეითვისეს – ყველა რევოლუცია და გადატრიალება მთავრდება იმით, რომ ერთ ქურდებს ცვლიან სხვა ქურდები.



**– ბოლო პერიოდში რუსეთის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში განსხვავდება არა თანმიმდევრულობით – ხან ერთთან ვმეგობრობთ, ხან – მეორესთან...**

– ჩვენი საგარეო პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში პრიორიტეტების უქონლობაა. და, მადლობა ღმერთს ამისთვის. შეხედეთ ამერიკელებს, ვისთვისაც გუშინ მუბარაქი მოკავშირე იყო, დღეს კი მათ იგი გაყიდეს, თანაც დემონსტრაციულად. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ სარკოზი ტუნისში პრეზიდენტ ბენ ალის უქმობილდებოდა, შემდეგ კი თავშესაფარზე უარი უთხრა. მრავალი წლის განმავლობაში კადაფი ევროპელებისთვის საყვარელი ადამიანი იყო, თვალს ხუჭავდნენ მის ტერორისტულ მიდრეკილებაზე, რიგში იდგნენ, რომ მას გადაექაჩა მათს საცავებში ნავთობი. დღეს კი, თურმე, ის ისეთი ჯალათი და სულთამხუთავი იყო, როგორებიც ცოტაა.

ამ სიტუაციაში ჩვენი პოლიტიკა არის ის, რომ ჩვენ იქ მტრები არ გვყავანან. ჩვენ ვმუშაობთ ყველასთან, როგორც შეგვიძლია, გვაქვს ნორმალური ურთიერთობა თურქეთთანაც, ისრაელთანაც, ეგვიპტესთანაც.

დღეს ჩვენ არ გაგვაჩნია ბერკეტები და მექანიზმები, რათა როგორმე მოვახდინოთ გავლენა ახლო აღმოსავლეთზე. სხვათა შორის, თუ უფრო ვრცლად შევხედავთ ყოველივეს, ისინი არც არავის აქვს მსოფლიოში. ერაყსა და ავღანეთში ცხადი გახდა, რომ ნატო, როგორც სამხედრო ძალა – ფიქციაა. ომი შეუძლია მხოლოდ ამერიკას, ინგლისის სპეცნაზსა და ცოტა – კანადელებსა და ახალ ზელანდიელებს.

არის სხვადასხვა ლობისტური ჯგუფები, რომლებსაც ძალიან უნდათ, ჩართონ რუსეთი არაბული სამყაროსა და ირანის ბლოკში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის წინააღმდეგ. არიან აშკარა სიონისტები თავიანთი ინტერესებით. ისინი ყველა ერთად ქმნიან იმ პოლიტიკურ კომპოტს, რომელიც ამერიკაში შეინიშნება. და ეს ნორმალურია.

ოდესღაც ძალიან გვიყვარდა, რომ ჩვენთვის მოეწყოთ საზეიმო წვეულებები და პასუხსაგები კომპლიმენტები ფულისა და შეიარაღების სანაცვლოდ. გორბაჩოვს არ ეყო 30 მილიარდი დოლარი, რომ სსრ კავშირი არ გაკოტრებულიყო. ამავე დროს 90-იანი წლების დასაწყისში ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთი აფრიკის ქვეყნებს ჩვენი 100 მილიარდი დოლარი ემართათ. ჩვენთვის ეს ვალი არ დაუბრუნებიათ და იმისთვისაც კი არ იზრუნეს, რომ მადლობა წარმოეჩინათ.

დღეს ჩვენი მთავარი ამოცანა ახლო აღმოსავლეთში არის – თავიდან ავიცილოთ რაიმე გართულება და მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი. ამაში ჩინეთისგან უნდა ავიღოთ მაგალითი. ცისქვეშეთის პოლიტიკა ამ რეგიონში – ეს არის რესურსები, რესურსები და კიდევ ერთხელ რესურსები. ჩინელები უგულებელყოფენ სანტიმენტებს, მუშაობენ ყველასთან და ყველასგან იქაჩავენ მოგებას.

**ა.პოლუბოტა**

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

ეს საგულისხმოა

# როდის და რატომ შეიქმნა სამხრეთი და ჩრდილოეთი ოსეთი

(მეშვიდე გვერდიდან)

საქართველო, კერძოდ, შედგება: ქართლი, ხორბლის წარმოების საგანგებო ოლქი, კახეთი, რომელიც გაყოფილია თელავისა და სიღნაღის მაზრებად, რომელთაგანაც პირველში უხვადაა შესანიშნავი ვენახები, მეორეში ცდილობდნენ ბაღების გაშენებას, აქ აქვთ ვრცელი სახნავ-სათესები. ქართლს მიეკუთვნება ოსების ნაწილი, რომლებიც მთებში ცხოვრობენ. ამ ცოტა ხნის წინათ დაიწყეს მათ ქრისტიანული სარწმუნოების მიღება"... მათი წარმატებები ჯერჯერობით ძალიან უმნიშვნელოა, მაგრამ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ, როდესაც მიიღებენ მეტ ნდობას მთავრობისადმი, ანდა მონათვლით მეტ ყურადღებას დაიმსახურებენ, ისინი შეცვლიან თავიანთ მხეცურ ჩვევებს და ქურდობისადმი მიდრეკილებას. „იმერეთში საქართველოსგან დამოუკიდებლად დაფუძნებულია დროებითი მმართველობა. სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის პროვინციებში მფლობელი თავადები სარგებლობენ ადრე მინიჭებული უფლებებით და ღებულობენ მიწიდან შემოსულ შემოსავლებს, ზოგიერთ შემთხვევაში ისინი დამოკიდებული არიან მხარეში არსებული უფროსის განკარგულებაზე, ამ განკარგულებებს ასრულებს იმერეთის მმართველი, რომელიც განისაზღვრება იმათგან, ვინც მსახურობს გენერლების კორპუსში".

დ. დევდარიანის ამავე ნაშრომში ციტირებულია ოსური ჰუმანიტარული მეცნიერების პატრიარქის, ვ. აბაევის საინტერესო მოსაზრება ოსეთში სეპარატისტული განწყობის შესახებ (გვ. 23ძ.

„მინდა ვიყო ობიექტური და შევეცადო გავერკვე, ხომ არ ყოფილა ოსეთის მხრიდან ისეთი ნაჩქარევი, მოუფიქრებელი მოქმედება, რომელმაც განსაზღვრა ურთიერთდაპირისპირება, და მინდა ვაღიარო – ასეთი მოქმედებები არ ყოფილა. მე მხედველობაში მაქვს მოსკოვზე ორიენტირებული ჩრდილოეთისა და სამხრეთი ოსეთის გამოცხადებული სუვერენიტეტი გაერთიანების პერსპექტივით. სამხრეთოსეთელების სურვილი შეერთებისაკენ, ადამიანური თვალსაზრისით გასაგებია, მაგრამ გეოპოლიტიკურად ეს შეცდომაა. კავკასიის მთავარი ქედი – ეს არის ბუნებრივი საზღვარი საქართველოსა და ოსეთს შორის და ამ საზღვრის დარღვევის ყოველგვარი მცდელობა იწვევს პერმანენტულ კონფლიქტს ქართველებსა და ოსებს შორის". არ შეიძლება არ დაეთანხმდეს ვ. აბაევის ამ განცხადებას საღად მოაზროვნე ადამიანი (ეს ვ. აბაევის სიტყვებია).

გაზეთის მკითხველისთვის არანაკლებ საინტერესოა ოსური ინტელიგენციის წარმომადგენლების კოლექტიური წერილის შინაარსს, რომელიც გაეგზავნა გაეროს ყოფილ გენერალურ მდივანს პერეს დე კუელიარს, ყოფილ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს მ. გორბაჩოვს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. წერილში ნათქვამია (გვ. 22ძ.

„საკავშირო პრესა, რადიო და ტელევიზია უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ავრცელებენ ცრუ ინფორმაციას დაძაბულ, ექსტრემალურ სიტუაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეიქმნა საქართველოში და კერძოდ, სამაჩაბლოში (მაჩაბლების, ერისთავებისა და ა.შ. ყოფილი მამულებიძ, ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში". ყოველმა საღად მოაზროვნე ოსმა, ვინც საქართველოში ცხოვრობს, იცის, რომ ოს ექსტრემისტებს იარაღით ამარაგებს საბჭოთა არმია. ჩვენ ვალდებული ვართ, ვაჩვენოთ მსოფლიო საზოგადოებრიობას კბილებამდე შეიარაღებული ოსი ექსტრემისტების ჭეშმარიტი სახე". „პირველად საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გაიმართა არჩევნები უმაღლეს საბჭოში, რაც ემყარებოდა დემოკრატიის პრინციპებს. ამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს კეთილი ნების ოსებმა. თითოეული ჩვენგანი დროულად და სწორად მიიჩნევს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" გაუქმებას, რომელმაც თავი რესპუბლიკად გამოაცხადა". თავისი ბუნებით ქართველები დიდსულოვნები და მომთმენები არიან, მათთან ყველას შეუძლია მოიპოვოს თავშესაფარი, ყოველ დევნილს, რომელიც გატანჯულია შევიწროებითა და უბედურებით".




ასეთი შინაარსის წერილის ფონზე აშკარად პროვოკაციულად ჟღერს ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფ. პრეზიდენტის, ძასოხოვის განცხადება იმის შესახებ, რომ „ოსეთის სახალხო გაყოფა განხორციელდა რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული სახელმწიფო საზღვრის გამო".

ცხადია, ძასოხოვისათვის ცნობილი იქნებოდა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფო საზღვრები არსებობდა მანამდე, სანამ ამ საზღვრის მეორე მხრიდან ოსები საქართველოში დაიდებდნენ ბინას. ძასოხოვისთვისაც ცნობილი უნდა ყოფილიყო ისიც რომ, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ა. ო. შეიქმნა 1922 წლის 30 აპრილს ქართველებით და ოსებით დასახლებული შიდა ქართლის მეზობელი რაიონების ხარჯზე, ხოლო მის გამგებლობაში მყოფი ჩრდილოეთ ოსეთის ა. ო. – 2,5 წლის შემდეგ 1924 წლის 7 ივლისს რუსეთის ფედერაციის მთიელთა ავტონომიური რესპუბლიკის ოსეთის ადმინისტრაციული პროვინციის – „ალანიის" ბაზაზე. მის დედაქალაქად აღიარეს ჩრდ. კავკასიის დედაქალაქი ქ. ვლადიკავკაზი, რომელიც შეიქმნა 1860 წელს მდ. თერგის ნაპირზე საქართველოს სამხედრო გზის დასაცავად აგებულ სამხედრო ციხესთან სოფელ ძაუჯიყაოს მახლობლად. ძასოხოვის ხსენებული მოსაზრება შეიძლება ავხსნათ მისი უწიგნურობით ან უაღრესად ექსტრემისტული განწყობილებით საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ. როგორც ჩანს, ასეთივე განწყობილება ჰქონდათ და აქვთ კრემლის ამჟამინდელ მმართველებს, რუსეთის გენერალიტეტს და დუმის დეპუტატებს.

ცნობილია, რომ გასულ საუკუნეში საქართველოს ოსი ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობდა 12-მდე პროვინციაში (რაიონშიძ. როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ 1922 წლის აპრილში, შიდა ქართლის ოთხი პროვინციის (ზნაურის, ლენინგორის, ჯავისა და ცხინვალისძ ხარჯზე ბოლშევიკებმა ჩამოაყალიბეს ისტორიულად არ არსებული ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ა. ო.", სადაც ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ რუსები, სომხები და ებრაელები.

საქართველოს სტატისტიკურ დეპარტამენტში არსებული ინფორმაციის შესაბამისად მოსახლეობის პირველი საკავშირო აღწერის დროს ( 1926ძ, საქართველოში აღრიცხულია ოსი ეროვნების 113 298 მოსახლე, ხოლო ე. წ. სამხრეთ ოსეთის ა.ო-ში 60 351 მოსახლე (საქართველოში მცხოვრები ოსი მოსახლეობის 45 პროცენტიძ. ყოფილ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ბოლო აღწერის დროს (1989ძ საქართველოში და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ა.ო.-ში მცხოვრები ოსი მოსახლეობის რიცხოვნობა შესაბამისად შეადგენდა 164 055 და 65 232 სულს (ანუ საქართველოში მცხოვრები ოსი მოსახლეობის 39,72 პროცენტს), ამრიგად საქართველოში მცხოვრები ოსი მოსახლეობის უმეტესობა აღმოჩნდა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ა. ო.-ს ფარგლებს გარეთ, რასაც თავისთავად მივყავართ აბსურდამდე, რადგან ე. წ. სამხრეთ ოსეთის ა. ო. ვერ შეასრულებდა მასზე დაკისრებულ საქართველოში ოსი მოსახლეობის გაერთიანების ფუნქციას. როგორც ჩანს ბოლშევიკებს წინასწარ ჰქონდათ განზრახული, რომ ამ ორი ავტონომიური ერთეულის სხვადასხვა ქვეყნებში არსებობის შემთხვევაში შეიძლება დასმულიყო ამ რეგიონების გაერთიანების საკითხი, რაც, ბუნებრივია, შექმნიდა პრობლემებს უპირველეს ყოვლისა საქართველოსთვის. ფაქტობრივად ასეც მოხდა. დღეისათვის რუსეთმა საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევით ცნო აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა". უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალში ექსტრემისტების „მოთხოვნით" ახლად ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი რესპუბლიკები მიუერთდებიან რუსეთის ფედერაციას, შემდეგ კი სამხრეთ ოსეთი გაერთიანდება ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან.

შექმნილ ვითარებაში ცინიკურად ჟღერს ყოფ. საბჭოთა კავშირის კგბ-ს ოფიცრის, რუსეთის ფედერაციის ყოფ. პრეზიდენტის და ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის ვ. პუტინის ხამაღალი განცხადება იმის შესახებ, რომ მის ქვეყანას გააჩნია იმდენად დიდი ტერიტორია, რომ რუსეთს არ სჭირდება მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების მიერთება. თუმცა ისტორია სრულიად საწინააღმდეგოზე მეტყველებს. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც მეორე მსოფლიო ომის დროს და შემდეგ ბესარაბიის, ბალტიისპირეთის ქვეყნების, ფინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციის – კარელიის, აღმოსავლეთ პრუსიისა და კალინინგრადად გადარქმეული მისი დედაქალაქის კენიგსბერგის, აგრეთვე შორეულ აღმოსავლეთში სახალინის კუნძულის ნახევრისა და კურილიის კუნძულების ბედი. უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთივე ხვედრი მომავალში ელის უკრაინის სამხრეთ აღმოსავლეთის რეგიონებს ყირიმის ნახევარკუნძულის ჩათვლით და ყაზახეთის ჩრდილო-დასავლეთის რეგიონებს. შესაძლოა ეს ხვედრი თავისივე სურვილით გაინაწილონ დსთ-ს ქვეყნებმა. მაშინ ყოფილი საბჭოთა კავშირი გარდაიქმნება რუსეთის მძლავრ იმპერიად, რაც ჯერჯერობით არაა გახმაურებული.

დასასრულს გაზეთის მკითხველს მინდა გავახსენო XX საუკუნის დიდი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის უინსტონ ჩერჩილის (1874-1965 წ.წ.ძ მიერ 1939 წლის 1 ოქტომბერს ბი-ბის-ის რადიოთი მეტად მოხდენილი გამონათქვამი: „მე არ შემიძლია ვიწინასწარმეტყველო, თუ რას უნდა მოველოდეთ რუსეთისაგან. რუსეთი ეს გამოცანაა, გამოხვეული გამოცანაში განთავსებული გამოცანის შიგნით". როგორც ვხედავთ შვიდი ათეული წის შემდეგ რუსეთს არ შეუცვლია არც ფერი და არც ზნე, რის გამოც დღესაც ვერ ვიწინასწარმეტყველებთ თუ რას მოიმოქმედებს იგი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

**ალექსი მიქელაძე,**
პროფესორი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ისტორიის პარადოქსები

# საფლავშიც არ მოასვენეს...

**1642 წლის 3 დეკემბერს პლევრიტით გარდაიცვალა კარდინალი რიშელიე. როდესაც მოძღვარმა მომაკვდავს ჰკითხა, რას შეუნდობდი შენს მტრებსო, ასეთი პასუხი მიიღო, მე პირადი მტრები არ მყავდა. ჩემი მტრები საფრანგეთის მტრები იყვნენო. მისი სურვილის თანახმად, ის დაკრძალეს სორბონის უნივერსიტეტის ეკლესიაში, რომელიც 1635 წელს აშენდა. თვით რიშელიეს დიდი თანადგომით.**

რიშელიეს მოღვაწეობისადმი საზოგადოების და ისტორიკოსების დამოკიდებულება ერთგვაროვანი არასოდეს ყოფილა. ბლეზ პასკალის თქმით, „კარდინალი არ ისურვებდა, მისი პიროვნება გამოეცნოთ"...

რიშელიესადმი, როგორც ტირანის, დესპოტისადმი უარყოფითმა დამოკიდებულებამ თავის ზენიტს მიაღწია საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს. რიშელიეს საფლავის შეურაცხყოფა ამის ლოგიკური შედეგი იყო – ამით რევოლუციამ თითქოს ანგარიში გაუსწორა რიშელიეს, როგორც მონსტრს, დესპოტს. ეს იყო ბრბოს ბატონობის კიდევ ერთი გამოვლინება. ამ ვანდალურ აქტს, ცხადია, არავითარი გამართლება არ აქვს. რას იზამ, ძალმომრეობა რევოლუციის დამახასიათებელი ატრიბუტია, მოგწონს თუ არა ეს რეალობაა... 1793 წლის 15 ფრიმერს (5 დეკემბერსძ, ზამთრის ცივ დღეს, უცნაური ამბავის მოწმენი შეიქმნენ. გამძვინვარებული ბრბო სორბონის უნივერსიტეტის ეკლესიას მიადგა. ამჯერად მათი მთავარი სამიზნე კარდინალ რიშელიეს სარკოფაგი იყო. ერთ წამში ჟირარდონის მიერ შესრულებული რიშელიეს სკულპტურა ნამსხვრევებად აქციეს. სარკოფაგი გახსნეს, ბალზამირებული მუმია ამოიღეს და პარიზელ ბავშვებს გადაუგდეს სათამაშოდ. გაშმაგებულმა ბრბომ გზა განაგრძო. იმ დღეს კიდევ 48 საფლავი შეურაცხყვეს. ასეთი იყო ოხლოკრატიის, ბრბოს ბატონობის, სავალალო შედეგები.



კარდინალ რიშელიეს ცხედარი გადარჩენას აბატ ბოშანს უნდა უმადლოდეს. მან ისარგებლა შექმნილი აურზაურით, აიღო კარდინალის თავი და გაიქცა. ბავშვები გამოეკიდნენ, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ. ამ გარემოებით ისარგებლა კიდევ ერთმა ადამიანმა და მუმიას თითი მოაგლიჯა. ის მოხიბლა ძვირფასი ქვებით გაწყობილმა ბეჭედმა. ვილაცას ხელში ჩაუვარდა ნიღაბი, რომელიც მიცვალებულს სახეს უფარავდა. ფაქტობრივად, რიშელიეს საფლავი გაქრა. ბრბოს თავაშვებულ პარპაშს ტრადიციისამებრ, არავითარი სიკეთე არ მოუტანია.

XIX საუკუნის შუა ხანებში, სახელდობრ, მეორე იმპერიის დროს, სამართლიანობა აღსდგა. რიშელიეს გვამის გადარჩენილი ნაწილები კერძო მფლობელებმა სახელმწიფოს დაუბრუნეს. ნაპოლეონ III-ის ძალისხმევით, 1866 წლის 15 დეკემბერს რიშელიეს საფლავი სორბონის უნივერსიტეტის ეკლესიაში აღადგინეს. სარკოფაგში ჩაასვენეს მისი სხეულის გადარჩენილი ნაწილები. თითქოს ამჯერად უკვე ყველაფერი დასრულდა, მაგრამ არა!..

1968 წლის მაისში რიშელიეს საფლავი კიდევ ერთხელ გადაურჩა გამძვინვარებულ ბრბოს. მიმდინარეობდა მისი რესტავრაცია. სამაგიეროდ, სტუდენტებმა ნაკუწებად აქციეს რიშელიეს დიდი პორტრეტი, რომელიც სორბონის უნივერსიტეტის კედელზე ეკიდა.

1971 წლის 4 დეკემბერს, საფრანგეთის კულტურის მინისტრის ჟაკ დუამელის თაოსნობით, მოხდა რიშელიეს რესტავრირებული სარკოფაგის საზეიმო გახსნა. მასში მოათავსეს გვამის გადარჩენილი ნაწილები – თავი, თითი და თმის რამდენიმე ღერი.

დეკემბრის მოვლენებით აღსავსე აღმოჩნდა კარდინალ რიშელიესათვის. 1642 წლის დეკემბერს ის გარდაიცვალა; 1793 წლის 5 დეკემბერს მისი საფლავი შეურაცხყვეს; 1866 წლის 15 დეკემბერს, ნაპოლეონ III-ის ძალისხმევით, მისი საფლავი კვლავ აღადგინეს; 1971 წლის 4 დეკემბერს დასრულდა მისი სარკოფაგის რესტავრაცია და საზეიმოდ გაიხსნა მისი საფლავი...

ამის მერე მაინც დაასვენებენ რიშელიეს საფლავში?

**მერაბ კალანდაძე**

ჭიდაობა

# თავისუფლების ორი „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“



**გერმანულ დორტმუნდში გრძელდება მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობს მთავარი მწვრთნელის – ზაზა თურმანიძის ხელმძღვანელობით.** ასპარეზობის პირველ დღეს 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს და ევროპის ვარშანდელმა ჩემპიონმა დავით ხუციშვილმა უფროსებში დებიუტი ბრინჯაოს მედლით აღნიშნა. უკეთ იასპარეზეს ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა (55) და დავით მარსაგიშვილმა (84).

19 წლის გორელმა ფალავანმა ხინჩეგაშვილმა იოლად სძლია ალბანელ ფლორიან რეხას (14:0) და შვეიცარიელ ურს ვილდს (10:0) ნახევარფინალში ქართველმა ფალავანმა აზერბაიჯანელ ევროპის ჩემპიონ მაჰმუდ მაგომედოვს მოუგო (1:1, 2:1), ფინალური შეხვედრა რუსეთის ნაკრების წევრ ჯამალ ოთარსულანოვთან დათმო და „ვერცხლს“ დაჯაბულდა. ასევე მეორე იყო მარსაგიშვილი, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას „ოქრო“ ჯიბიდან ამოაცალეს. ჩვენებურმა ზედიზედ აჯობა მაკედონიელ დეიან ბოგდანოვს, თურქ იბრაჰიმ ბოლუკბასის, შვეიცარიელ მარკო ლუკას რისენს, რუმინელ პიოტრ იანულოვს და ფინალში რუსეთელ ანზორ ურიშევს შეხვდა. მეტოქეებმა თითო პერიოდი მოიგეს. მესამე დამატებით შერკინებას მარსაგიშვილი 3:1-ს იგებდა. ბოლო წამზე რუსმა ერთქულიანი ილეთი გააკეთა, მაგრამ მსაჯებმა ორ ქულად ჩაუთვალეს და გააჩემპიონეს. ჩვენი მწვრთნელების პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია. ფილა ქართველი ფალავნების მიმართ ასეთ უმსგავსობას უკვე მერამდენედ იჩენს, თანაც მაინცდამაინც რუსეთელებთან შეხვედრისას...

ასპარეზობის მომდევნო ორი დღე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს დაეთმობათ.

**ლექსო ცინცაძე**

ფარიკაობა

# „ოქროს“ უახლოვდება



**ახალგაზრდა მოფარიკავე მიხეილ მარდალეიშვილმა წლევანდელი სეზონი იმით დაიწყო, რომ იუნიორთა ევროპის თასის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპზე მესამე ადგილი დაიკავა. და აი, ახალი წარმატება – იორდანიაში თანატოლთა მსოფლიო პირველობაზე მან ხმალში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ამ რანგის შეჯიბრებებზე მსგავსი წარმატება ჯერ არ გვქონია.**

მარდალეიშვილმა ზედიზედ დაამარცხა ერაყელი ალ ფილფ ბასიმი (15:9), ბელარუსი სერგეი კისელი (15:7), ამერიკელი ჯეფრი ლოსი (15:11) და ნახევარფინალში გავიდა, სადაც იტალიელი ლუკა კურატორის წინააღმდეგობა ვერ დაძლია (13:15) და მესამე ადგილზე გავიდა. ხვალიდან იქვე მარდალეიშვილი კადეტთა მსოფლიო პირველობაშიც ჩაებმება. მასთან ერთად საფარიკაო ბილიკებზე გავლენ სანდრო ბაზაძე, ლაშა მიქელაძე, თათია აფციაური (ყველა – ხმალი), ლუკა ღაღანიძე და არჩილ უგულავა (ორივე – რაპირა).

**ლაშა დიდია**

წყალბურთი

# მანჩესტერში გადაწყდება



**საბერძნეთის წყალბურთელთა ნაკრები, რომელსაც ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი სერბი დრაგან ანდრიჩი ავარჯიშებს, მეშვიდე წელიწადია, ელიტაში შედის. ათენის ოლიმპიადაზე გუნდმა მეოთხე ადგილი დაიკავა, მომდევნო წელს მსოფლიოზე ბრინჯაოს გამოკრა ხელი, ბოლო წლებში ევროპის ჩემპიონატებზე თითქმის ყოველთვის ექვსეულშია.** ამჯერად იგი საქართველოს და დიდი ბრიტანეთის ნაკრებებთან ერთად 2012 წლის კონტინენტის პირველობის E ჯგუფში გამოდის, სადაც პირველ შესარჩევ მატჩში სტუმრად კუნძულელებს 13:2 სძლია. ინგლისელებს საქართველოს ნაკრებმაც მოუგო შინ 9:3. „ოლიმპიკის“ აუზში ჩვენები სწორედ ელინელებს დაუპირისპირდნენ. ჯგუფის ფავორიტი თავიდან 2:0 დაწინაურდა, მაგრამ მასპინძლებმა ზედიზედ სამი ბურთი გაუტანეს (რევაზ ჩომახიძე, მარკო კორდიჩი, მიხეილ ბალათურია) სტუმრებს და დაწინაურდნენ. თუმცა ეს ეპიზოდური წარმატება იყო, რადგან უფრო გამოცდილმა ბერძნებმა მესამე მეოთხედიდან ხელთ იგდეს თამაშის სადავეები, მატჩში გარდატეხა შეიტანეს და საბოლოო წარმატებასაც მიაღწიეს – 11:8. ამ მარცხის მიუხედავად, საქართველოს ნაკრებს ჯგუფში მეორე ადგილის დაკავებისა და ფლეი-ოფში გასვლის შანსი არ დაუკარგავს: მთავარია, 2 ივლისს მანჩესტერში ინგლისელებთან განმეორებითი შეხვედრა ხუთ ბურთზე მეტი სხვაობით არ წავაგოთ. მანამდე კი ათენში ელადელებთან მოგვიწევს მეორე პაექრობა.

„ოლიმპიკის“ აუზში საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ზურაბ ჭუმბურიძე, გალაქტიონ ლაითაძე, მარკო ელაჩა, იოვან პოპოვიჩი, მარკო კორდიჩი, გიორგი ხვედელიანი, რევაზ ჩომახიძე, მიხეილ ბალათურია, ზურაბ რურუა, კოტე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, მარკო ელეზი, ალექსანდრე ნამორაძე, მთავარი მწვრთნელი ზვიად დავითიანი, მწვრთნელი მირიან ასათიანი.

**გივი გაგუა**

ფეხბურთი

# რაღას მიდიოდნენ?



**სამარცხვინოდ ითამაშა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა საფრანგეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში.**

კობა ჟორჟიკაშვილის ვაიშეგირდები თანამიმდევრულად დამარცხდნენ მასპინძლებთან – 0:2, ბელარუსებთან – 0:1, ნორვეგიელებთან – 0:5 და, ბუნებრივია, ბოლო ადგილი დაიკავეს.

იბადება კითხვა – რა აზრი ჰქონდა თანატოლთა ფორუმზე გამგზავრებას?

რაც შეეხება ფინალური ტურნირის საგზურს, მისი მფლობელები „სამფეროვნები“ გახდნენ, რომლებმაც დასკვნითი მატჩი ბელარუსებს 9:0(!) მიართვეს და სკანდინავიელებს ბურთების სხვაობით გაუსწრეს.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

## ვისი დოპინგ-სინჯი ჩააბარა?

**ბრაზილიელმა ტიაგო სილვამ, შერეულ ორთაბრძოლებში (MMA) რომ ასპარეზობს 93 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში, დოპინგ-სინჯზე ჩააბარა შარდი, ადამიანის რომ არ იყო. სინჯი სილვასგან 2011 წლის იანვარში აიღეს ამერიკელი ბრენდონ ვერას დამარცხების შემდეგ.**

თუ ვისი შარდი იყო სილვას დოპინგ-სინჯი, არ აცხადებენ, თუმცა ნევადის შტატის ათლეტიზმის კომისიამ ის შეჯიბრებებიდან მოხსნა, თუ რატომ, არც ესაა ცნობილი.

სილვას ემუქრება ჯარიმა და მისთვის მოკრივის ლიცენზიის შეჩერება. ამ საქმეს 2011 წლის 7 აპრილს განიხილავენ.




ამ სახეობაში ასეთი შემთხვევა იშვიათი როდია. მაგალითად, 2007 წელს UFC-ს ყოფილმა ჩემპიონმა კევინ რენდლენმა დოპინგ-სინჯად ძაღლის შარდი ჩააბარა, მეორე ამერიკელმა დიეგო სანჩესმა კი ონკანის წყალი.

28 წლის სილვას კარიერაში გამართული აქვს 17 ბრძოლა. ბრაზილიელმა გაიმარჯვა 15 ორთაბრძოლაში (11 ნოკაუტით), დამარცხდა – ორში.

## „რომა“ ამერიკელებმა იყიდეს?




**თუმცა იტალიური „რომა“ ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ გაიტანეს გასაყიდად, მაგრამ როგორც ცნობილი გახდა, მხოლოდ ახლა გამოჩნდა მყიდველი – ის ამერიკელი მეწარმე, ბეისბოლის გუნდის „ბოსტონ რედ სოქსის“ მფლობელი ტომას დი ბენედეტოა.** როგორც იტალიური ბანკი „უნიკრედიტი“ აცხადებს, შეთანხმებაზე ხელმოწერა 20 დღის განმავლობაში მოხდება. მხარეები ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მორიგდნენ, თუმცა თანხას არ აცხადებენ, მაგრამ ადრე იტყობინებოდნენ, რომ ამერიკელთა შეთავაზება 120-130 მილიონი ევრო იყო, ამასთან პირდაპირი ინვესტიცია 50 მილიონი უნდა ყოფილიყო.

შეთანხმებებით დი ბენედეტოს გადაცემა კლუბის აქტივების 60 პროცენტი, ბანკს კი დარჩება 40 პროცენტი, მას ასევე შეეძლება სტრატეგიულ იტალიურ ინვესტორებს მიჰყიდოს თავისი წილი.

„რომას“ ახლანდელმა მფლობელმა სენსის ოჯახმა კლუბის გაყიდვა ბანკს მიანდო დიდი ვალების დასაფარად და გაკოტრების თავიდან ასაცილებლად. მყიდველი ბევრი იყო, მათ შორის რუსი ოლიგარქი ლეონიდ ფედუნი, არაბული, ფრანგული და იტალიური ფირმები.

## შარაპოვამ რეკორდი გაიმეორა

**მაიამიში მიმდინარე ქალთა საჩოგბურთო ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 4 მილიონ 500 ათასი დოლარია, მეოთხედფინალში სარეკორდო 3 საათი 28 წუთი დასჭირდა აღიარებულ ლამაზმანს მარია შარაპოვას, რათა დაემარცხებინა რუმინელი ალექსანდრა დულგერუ – 3:6, 7:6 (8:6), 7:6 (7:5), ესაა ქალთა ტურნირებზე მატჩების ხანგრძლივობის რეკორდის გამეორება, რომელსაც შარაპოვამ მიაღწია 2008 წელს „დიდი მუზარადის“ ტურნირზე მერვედფინალში ამელია აილენდში ესპანელ ანაბელ მედინა გარიგესთან – 7:6 (7:3), 5:7, 7:6 (7:1). თამაშის ბოლოს შარაპოვამ ფეხი დაიზიანა, მაგრამ მაინც შეძლო საქმის გამარჯვებამდე მიყვანა.**



◉ საფრთხე

## ჩვენთან რადიაციული ფონი არ გაიზრდება

როგორც ბირთვული და რადიაციული სამსახურის უფროსმა ზაალ ლომთაძემ განაცხადა, საქართველოში რადიაციული ფონის მომატება არსად დაფიქსირებულა.

მისი თქმით, იაპონიაში შექმნილი რთული ბირთვული ვითარების მიუხედავად, საქართველოში რადიაციული ფონის მომატება მოსალოდნელი არაა.

— იაპონიაში შექმნილი რთული ვითარების მიუხედავად, საქართველოში რადიაციული ფონის მომატება არაა მოსალოდნელი და შესაბამისად არც რაიმე საგანგებო ზომების მიღება საჭიროა. მეტეოროლოგიური სამსახური ყოველდღიურად ამოწმებს რადიაციის დონეს. შემოწმებების შედეგად საქართველოში არსად გამოვლენილა მომატებული რადიაცია. შემოწმება ხორციელდება საკვებ პროდუქტებზეც. საბაჟოზე სპეციალური დეტექტორები დგას, რომელიც ქვეყანაში შემოსულ ტვირთებს ამოწმებს და რადიაცია არც ერთ მათგანზე არ დაფიქსირებულა, — განაცხადა ლომთაძემ.

ჯი-ეიჩ-ენი



◉ ინფორმაცია

## ვალერი მელაძე მინისტრი გახდება

როგორც საქართველოს წყაროები ამტკიცებენ, ამ დღეებში ცნობილი მომღერალი საიდუმლოდ იყო თბილისში, სადაც მას შესთავაზეს კულტურის მინისტრის პოსტი. ამ წინადადებამ ისე მოხიბლა იგი, რომ მან მოიფიქრა უკვე რამდენიმე ახალი წესი, რომლებიც მოაწესრიგებს საქართველოს მუსიკალურ-სამართლებრივ საქმიანობას. პირველი ბრძანებულებით მინისტრი მელაძე აღკვეთს რესტორნებში სიმღერების რუსულ ენაზე შესრულებას. მომსვლელებს კი დააჯარიმებენ 2 ათასამდე ლარით, თუ რუსული ჰიტების შესრულების მომენტში ისინი დაღეჭავენ რეზინს, ხმამაღლა ილაპარაკებენ და მსუბუქ ტაშს დაუკრავენ. ასევე, ახალი კანონების თანახმად, საქართველოს რადიოსადგურებზე დღე-ღამეში მუსიკა, რომელიც კონსტანტინ მელაძემ დაწერა, დაიკავებს სულ ცოტა 70 პროცენტს, და თვეში ერთ სიმღერაზე მეტს არ იმღერებს სოსო პავლიაშვილი.

## ინტერნეტი გამოიგონეს ჯერ კიდევ XIX საუკუნეში

— სიმართლეა, — მიაჩნია ლიტერატურათმცოდნე ივან ვიჟიგინს. — პირდაპირი მითითებანი ამაზე შეიძლება ვნახოთ პუშკინის „ევგენი ონეგინში“. გავხსნათ მისი პირველი თავი: „ცეტი ჭაბუკი ასე ფიქრობდა და მტვერს აფენდა ეტლი ველ-მინდვრებს“. „მტვერს“ იმ დროს ელექტრონულ ძალებს უწოდებდნენ. „ეტლს“ კი — ეს საფოსტო პროგრამებია! სხვათა შორის, რუსეთში ბატონყმობის დროს კომპიუტერული ცოდნა ისე ვრცლად იყო გავრცელებული, რომ ჰუმანიტარულმა ა.პუშკინმაც კი იცოდა ორმაგი კოდის არსებობის შესახებ. „ევგენი ონეგინის“ მეორე თავში შეიძლება ვნახოთ: „ნულებად ვნათლავთ ყველას აშკარად და მარტო ჩვენს თავს — ერთეულებად“. რაზე მეტყველებენ სტრიქონები: „ვიდრე ფხიზელი ფხიზლობს, მას სადილად არ დაუძახებენ“? რასაკვირველია, იმის შესახებ, რომ უკვე ორი საუკუნის წინათ შვეიცარულმა ფირმამ „ბრიჟიტმა“, რომელიც დღეს ცნობილია თავისი საათებით, გამოუშვა რუსეთისთვის მობილური ტელეფონები.

ხსოვნა

# აკადემიკოსი თინათინ ყაუხჩიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, ქართულმა სამეცნიერო და შემოქმედებითმა ინტელიგენციამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, კლასიკური ფილოლოგიის თვალსაჩინო სპეციალისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი თინათინ ყაუხჩიშვილი.



თავისი ხანგრძლივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის განმავლობაში მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში კლასიკური ფილოლოგიისა და ქართველოლოგიის განვითარების საქმეში. თინათინ ყაუხჩიშვილი დაიბადა 1919 წლის 10 მაისს საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე უფრო ცნობილ ოჯახში. მისი დედა იყო თამარ იზბელი, ხოლო მამა — ჩვენი ქვეყნის კლასიკური ფილოლოგიის და ბიზანტინისტიკის პატრიარქი აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი. თინათინ ყაუხჩიშვილმა მიიღო შესანიშნავი განათლება უკვე ოჯახში, შემდეგ თბილისის პირველ საცდელ-საჩვენებელ შრომით სკოლაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა მიხეილ ზანდუკელი და რომელიც ჩინებული პედაგოგებით იყო გამორჩეული. სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, მან განაგრძო სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მის პროფესიულ სრულყოფაზე ზრუნავდნენ ქართული მეცნიერების ცნობილი კორიფეები, უნივერსიტეტის დამაარსებლები და ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების სახელისა და ავტორიტეტის შემქმნელნი: აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი წერეთელი, ნიკოლოზ ბერძენიშვილი, ვარლამ თოფურია და მრავალი სხვა. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მან გადაწყვიტა თავისი სამეცნიერო კარიერა დაეკავშირებინა კლასიკურ ფილოლოგიასთან, ბერძნულ-ქართული ურთიერთობების კვლევასთან, რისთვისაც იგი 1951 წლიდან სწავლას აგრძელებს ასპირანტურაში სიმონ ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით. კლასიკური ენებისა და ცივილიზაციის პარალელურად მან საფუძვლიანად შეისწავლა ძველი სომხური ილია აბულაძესთან, არაბული გიორგი წერეთელთან, გაიღრმავა თავისი ცოდნა ევროპულ: ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებში. 26 წლის ასაკში მან თავისი ცნობილი ნაშრომით „მასალები Ϛ-ის ისტორიისათვის (VI-X საუკუნეების ძეგლების მიხედვით)“ მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ამ ნაშრომმა სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა და იგი ერთხმად აღიარეს ქართული ენის ისტორიის შესწავლის საქმეში შეტანილ მნიშვნელოვან წვლილად. 1945 წლიდან თინათინ ყაუხჩიშვილი თავის სამეცნიერო საქმიანობას უკავშირებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტს. აქ გაიარა მან მეცნიერული ზრდის ყველა საფეხური უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლიდან მთავარ მეცნიერ-თანამშრომლამდე.

1946-53 წლებში იგი კლასიკური ფილოლოგიის სფეროში კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების მიზნით სისტემატურად იმყოფებოდა მივლინებით ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე. ცნობილი მეცნიერების ი.ტოლსტოის, ი.ტრონსკის და ს.ლურიეს ხელმძღვანელობით მან მიაღწია პროფესიონალიზმის იმ დონეს, რომ შეეძლო უკვე ურთულესი და უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელება თავის დარგში. ერთ-ერთი ასეთი პროექტი იყო საქართველოში არსებული ბერძნული წარწერების — იმ უნიკალური ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლა და გამოკვლევა, რომლებიც ანტიკურობიდან მოყოლებული XIX საუკუნის ჩათვლით მრავლად დასტურდებოდა ჩვენს ქვეყანაში. ამ ძალზე მნიშვნელოვანი ამოცანის განსახორციელებლად თინათინ ყაუხჩიშვილმა მოიარა მთელი საქართველო და შეისწავლა როგორც მრავალ ასეულ ძეგლზე შემონახული ბერძნული წარწერები, ასევე სხვადასხვა ქალაქის საცავებსა და მუზეუმებში დაცული მასალები. ამ მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი სტატიის პუბლიკაციის შემდეგ იგი 1951 წელს აქვეყნებს ფუნდამენტურ მონოგრაფიას „ბერძნული წარწერები საქართველოში“, რომლისთვისაც მას 34 წლის ასაკში მიანიჭეს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ამ ნაშრომზე გამოხმაურებები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, იყო უაღრესად პოზიტიური და ეს წიგნი ერთხმად იქნა აღიარებული საეტაპო ნაშრომად ბერძნული ეპიგრაფიკის შესწავლის სფეროში.

ქართულ-ბერძნული ენობრივი ურთიერთობებისა და ბერძნული ეპიგრაფიკის პრობლემატიკის კვლევასთან ერთად თინათინ ყაუხჩიშვილი ინტენსიურად მუშაობს საქართველოს შესახებ ანტიკური წყაროების თარგმნისა და კომენტირების მიმართულებით. მან გამოსცა საქართველოს ისტორიის სპეციალისტთათვის ძალზე მნიშვნელოვანი წიგნები: სტრაბონის გეოგრაფია — ცნობები საქართველოს შესახებ (1957წ, აპიანეს მითრიდატეს ომების ისტორია (1959წ, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ (1960წ, ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ (1965წ, პოლიბიოსის ცნობები საქართველოს შესახებ (1967წ, ასევე 6 წიგნი ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ (1967-1987წწ.წ, რომლებშიც თავმოყრილია დამატებით მრავალი ბერძენი ავტორის ცნობები საქართველოს შესახებ. ეს წიგნები გამოირჩევა ანტიკური წყაროების ინტერპრეტაციის მაღალი დონით, ფასდაუდებელი სამეცნიერო კომენტარებით და გამოცემის მაღალი კულტურით. 1976 წელს თ.ყაუხჩიშვილი აქვეყნებს მონოგრაფიას „საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები“, რომელშიც, ფაქტობრივად, აჯამებს თავისი სამეცნიერო კვლევის შედეგებს ბერძენ ავტორთა საქართველოს შესახებ არსებულ ცნობებთან დაკავშირებით. თინათინ ყაუხჩიშვილის მთარგმნელობითი მოღვაწეობა არ შემოიფარგლა მხოლოდ საქართველოს შესახებ არსებული ცნობების ქართულ ენაზე გადმოტანით, მან სრულად თარგმნა და ორ ტომად გამოაქვეყნა ჰეროდოტეს ისტორია (1975-76 წწ.წ, რომელიც ანტიკურობის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის ქართულად თარგმნის შესანიშნავი ნიმუშია. სიცოცხლის ბოლოს თინათინ ყაუხჩიშვილი კვლავ დაუბრუნდა საქართველოში ბერძნული წარწერების თემატიკას. ამას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი მისი და მისი მოსწავლეების ექსპედიციების შედეგად მრავლად გამოვლენილმა და ასევე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულმა ახალმა მასალებმა. 1999-2000 წლებში გამოდის მისი საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსის ახალი გამოცემა 3 ტომად. 2004 წელს ეს ნაშრომი შესწორებული და შევსებული სახით კიდევ ერთხელ ქვეყნდება, ხოლო 2009 წელს თავის 90 წლის იუბილეს თინათინ ყაუხჩიშვილი შეხვდა ამ შესანიშნავი წიგნის მესამე შესწორებული და შევსებული გამოცემით. თინათინ ყაუხჩიშვილი იყო არა მარტო მაღალი დონის მეცნიერი, არამედ შესანიშნავი პედაგოგი. იგი 1945-1952, 1968-1995 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეწეოდა ნაყოფიერ მუშაობას სტუდენტებთან და ასპირანტებთან. მან სპეციალისტთა არაერთი თაობა აღზარდა, რომელთაც წარმატებით დაიცვეს დისერტაციები და ნაყოფიერად გააგრძელეს მუშაობა ფილოლოგიისა და ისტორიის სფეროში. თინათინ ყაუხჩიშვილი ყოველთვის ღირსეულად წარმოადგენდა ქართულ მეცნიერებას საერთაშორისო ასპარეზზე. იგი სისტემატურად მონაწილეობდა იენა-თბილისის ერთობლივ საერთაშორისო კონფერენციებში, არჩეული იყო ვინკელმანის საერთაშორისო საზოგადოების წევრად, მნიშვნელოვანი მეცნიერული დამსახურებებისათვის 1979 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1993 წელს — იმავე აკადემიის აკადემიკოსად. მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა აღინიშნა ღირსების ორდენით და არაერთი სიგელითა და ჯილდოთი. მან ნაშრომისათვის „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი“ 2008 წელს დაიმსახურა აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის პრემია, რაც კიდევ ერთი დადასტურება იყო იმისა, რომ თინათინ ყაუხჩიშვილმა ღირსეულად გააგრძელა სახელოვანი მამის ტრადიციები. მან დაგვიტოვა არაერთი ჭეშმარიტად სამაგიდო წიგნი, რომელნიც კიდევ დიდხანს შეინარჩუნებენ თავიანთ აქტუალობას და ღირსეულ სამსახურს გაუწევენ ქართულ მეცნიერებას.

აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული მეცნიერების ისტორიაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, კლასიკური ფილოლოგიის გამოჩენილი მკვლევარი, აკადემიკოსი

თინათინ ყაუხჩიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი და საქართველოს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საისტორიო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

თინათინ ყაუხჩიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნომრის კარიკატურა




— მამიკო, დღეს დაფასთან გამიძახეს.
— მერე?
— ხვალ შენ გიძახებენ...

ამირან ერაძის ნახატი.

გურამ გუნავა ოჯახით სამძიმარს უცხადებს თამაზ ხუბუას და დალილა ხორავას მამისა და მამამთილის, ბრწყინვალე პიროვნების, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი და ღვაწლმოსილი ადამიანის

ტერენტი ერასტოს ძე ხუბუას

გარდაცვალების გამო.

**ი ყ ი დ ე ბ ა , ქ ი რ ა ვ დ ე ბ ა !**

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

ტესტი

# გაბედული ხართ თუ არა?

**ტესტი დაგეხმარებათ განსაზღვროთ, თუ ხართ საკმაოდ გაბედული ადამიანი.**
**შეკითხვებს უპასუხეთ ან „კი“ ან „არა“, შემდეგ კი ცხრილის დახმარებით დაიანგარიშეთ ქულები.**



1. თუ გთავაზობენ უფრო ინტენსიურ, მაგრამ დაახლოებით იგივე ანაზღაურების სამსახურს სხვა კომპანიაში, თქვენ დაუფიქრებლად მიიღებთ წინადადებას?
2. იყიდით ნივთს, რომელიც არ გჭირდებათ, მაგრამ მოგწონთ?
3. თუ სხვა ადამიანის დასკვნები უფრო საფუძვლიანია, სერიოზული დისკუსიის შედეგად შეგიძლიათ სხვაგვარად შეხედოთ განხილულ საკითხს?
4. ჩვეულებრივად შვებულებას გეგმავთ წინასწარ, არ ითვალისწინებთ შემთხვევას?
5. სწრაფად პოულობთ საერთო ენას უცნობ ადამიანებთან, ადაპტირდებით ახალ კოლექტივში?
6. ერთი ადამიანის მომხიბლაობას შეუძლია გაიძულოთ, შეცვალოთ თქვენი გადაწყვეტილება?
7. თუ გამოთქვამთ თქვენს აზრს საჯაროდ, თუ ის არ ემთხვევა თქვენი უფროსის აზრს?
8. თუ ცდილობთ ყოველთვის დაიცვათ თქვენი მიცემული სიტყვა?
9. თქვენს კომპანიაში შეიცვალა ხელმძღვანელობა. ძნელი იქნება თქვენთვის გარდაქმნა და ახალ მოთხოვნებთან შეგუება?
10. თუ გაქვთ ჩვეულება უარყოთ თქვენი დანაშაული თქვენს მიერ დაშვებულ შეცდომებში?
11. მოითხოვდით ტექსტის შეცვლას, რომელიც თქვენთვის სხვა პიროვნებამ დაწერა, თუ მისი აზრი ხელს გაძლევთ, გადმოცემის სტილი კი – არა?
12. თქვენს უარს, როგორც წესი, განმარტავთ ჭეშმარიტი მოტივებით, არ ფარავთ მას შემამსუბუქებელი მიზეზებითა და ვითარებებით?

## რომ შეაჯამოთ შედეგები, დააჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს

10 ქულამდე. თქვენ გაბედულ კაცს ვერ გიწოდებენ. დიდხანს შეგიძლიათ იფიქროთ „კისა“ და „არაზე“. შეეცადეთ ხშირად იკისროთ პასუხისმგებლობა და უსათუოდ დაიცავით თქვენი გადაწყვეტილება, ვინაიდან როგორიც უნდა იყოს ცოდნა და გამოცდილება, აუცილებელია მათი გამყარება მოქმედებით.

10-18 ქულა. თქვენ აზროვნებთ ლოგიკურად და, როდესაც საჭიროა – სწრაფად მოქმედება, ეს შეგიძლიათ. მაგრამ, თუ დრო საკმარისია, თქვენ გიპყრობთ ეჭვი, ცდილობთ, შეამოწმოთ სხვადასხვა გადაწყვეტილების სისწორე და ზოგჯერ თავად აშინებთ საკუთარ თავს. იყავით დარწმუნებული და მეტად ენდეთ საკუთარ თავს.

19-20 ქულა. თქვენ მზად ხართ დაიცვათ თქვენი გადაწყვეტილება და პრინციპულად შეგიძლიათ ოპერატიულად მიიღოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებიც კი. ამ დროს თუ მართალი არა ხართ, შეგიძლიათ აღიაროთ შეცდომა. და მაინც ზოგიერთ რთულ სიტუაციაში არ ღირს მხოლოდ თქვენს ცოდნაზე დაყრდნობა, უფრო სწორი კი იქნებოდა, კონსულტაციისთვის უმალვე მიგემართათ სპეციალისტებისთვის, ვინაიდან, დაგვეთანხმეთ, არ შეიძლება კომპეტენტური იყო უკლებლივ ყველა საკითხში.

29 ქულიდან. როგორც ჩანს, თქვენ გაბედული ადამიანი ბრძანდებით. მაგრამ ზოგჯერ თქვენი რწმენა გადადის თავდაჯერებულობაში და თქვენ უარყოფთ სხვის გონივრულ წინადადებებს. შეცდომებს ჩვეულებრივად ძნელად იშუშებთ და თქვენს მიმართ კრიტიკული შენიშვნები გაღიზიანებთ. გირჩევთ იყოთ უფრო მოქნილი. ზოგჯერ კომპრომისი ნებისმიერ შეტევაზე უფრო სასარგებლოა.

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დიახ | 2 | 0 | 3 | 1 | 4 | 0 | 3 | 3 | 0 | 0 | 2 | 2 |
| არა | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 3 | 4 | 0 | 0 |

ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ჰექტორ ბერლიოზს (1803-1869) მძიმე ცხოვრება არ ჰქონია. ცნობილი დირიჟორი იყო და რომის პრემიაც კი მისცეს, მაგრამ კომპოზიტორად ვერავინ აღიქვა. ამიტომ ის არავის ასმენინებდა თავის შედევრებს. 1869 წლის 8 მარტს ბერლიოზი მარტოობაში გარდაიცვალა. 1870 წელს დაიწყო საფრანგეთ-პრუსიის ომი. მოდური გახდა ყოველივე ეროვნული და გმირული და ბერლიოზს სიკვდილიდან ცხრა თვეში დიდება ეწვია.

● ემილი ბრონტე (1818-1848) – შარლოტა ბრონტეს უმცროსი და, დიდხანს დარჩა „ჯეინ ეარის“ ჩრდილში. მისი რომანი „ქარიშხლიანი უღელტეხილი“ ბესტსელერად ემილის გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს იქცა. „ავტორო, დაწერე კიდევ!“ – ასე გამოეხმაურა კრიტიკა ემილის. სამწუხაროდ, მას ეს აღფრთოვანებული შეძახილი არ გაუგონია – გვიანი იყო.

● ამადეო მოდილიანი (1884-1920) შესანიშნავი მხატვარიც იყო და მოქანდაკეც. ეს უნიჭიერესი „დემონი“, როგორც მას ფრანგებმა შეარქვეს, ძალიან დაჩაგრა ბედმა. სიცოცხლეში მას მხოლოდ ერთი თაყვანისმცემელი ჰყავდა და ისიც მისი მეუღლე ჟანა ებიუტერნი იყო. დიდება მხოლოდ სიკვდილიდან თოთხმეტი დღის შემდეგ ეწვია. პირველმა ჰონორარმა, ასობით გირვანქა სტერლინგმა, რომელიც საფოსტო ხომალდს ლონდონიდან მოჰქონდა, ღატაკ მხატვარს ველარ მოუსწრო.

● მეორე მსოფლიო ომის წინ ევროპის ქვეყნების არმიებს 81,4 მმ კალიბრის ნაღმსატყორცნები ჰქონდათ, საბჭოთა კონსტრუქტორებმა წამოაყენეს წინადადება, შეექმნათ სამამულო წარმოების ნაღმსატყორცნი, რომლის კალიბრი 82 მმ იქნებოდა, რადგან ასეთი ნაღმსატყორცნით საბჭოთა ჯარისკაცები მტრისთვის წართმეული ნაღმების სროლას შეძლებდნენ, საბჭოთა ნაღმები კი მოწინააღმდეგისათვის გამოუსადეგარი იქნებოდა, რადგანაც საბჭოთა ნაღმი მათი ნაღმსატყორცნის ბუდეში არ ჩაეტეოდა.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

წარდგენა

## „გულის ქისაში ნადები“

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ახალი წიგნის „გულის ქისაში ნადები“ წარდგენა გაიმართა. წიგნის ავტორი გახლავთ ჟურნალისტი, ფილოლოგიის დოქტორი, ღირსების ორდენის კავალერი, „საქწიგნის“ ყოფილი გენერალური დირექტორი, საქართველოს „მონკავშირის“ ყოფილი პრეზიდენტი რეზო ჭიჭინაძე.

წიგნის პირველ ნაწილში თავმოყრილია რეზო ჭიჭინაძის მხატვრულ-პუბლიცისტური შემოქმედება, ხოლო მეორე ნახევარი მის თანამედროვეთა წერილებს, ექსპრომტებს, შეფასებებსა და გამოსათხოვარს ეთმობა.

წიგნის რედაქტორია საბა მეტრეველი, ხოლო პროექტის ავტორი რეზოს მეუღლე ბაბო მიქელაძე, რეზოს სიკვდილის შემდეგ სწორედ მისი ძალისხმევით გამოიცა მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი ეს წიგნი.

ნანა ჭიჭინაძე

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით.
868 838 858

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7039 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3650 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7283 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9315 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.6346 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1479 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1473 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0749 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5928 ლარი |



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

გემი იძირება. გემბანზე საშინელი პანიკაა. კაპიტანმა თავზე თმა სულ დაიგლიჯა. მხოლოდ ბოცმანი დადის მშვიდად შარვლის ჯიბეში ხელებჩაწყობილი. მასთან იუნგა მივარდა:

– ბატონო ბოცმანო, გემი იძირება, კაპიტანმა თავზე თმა სულ დაიგლიჯა, თქვენ კი მახრჩობელასავით წყნარი ხართ, თანაც ხელები შარვლის ჯიბეში გაქვთ ჩაწყობილი!!!

– მისმინე, შვილო, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ სად დაიგლეჯს თმა?!

* * *

პოლიკლინიკის ექიმთან ვეტერინარი მივიდა გასასინჯად.

– აბა, მითხარით, რას უჩივით? – ეკითხება ექიმი.

– ექიმო, მე ძროხები არ მეუბნებიან რა სტკივათ, მაგრამ ვმკურნალობ.

ექიმი მეღდას მიუბრუნდა.

– ექთანო, მიეცით ამ ავადმყოფს ეს წამალი სამჯერ დღეში და თუ არ უშველა, უბრალოდ, დაკალით.



* * *

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: საქართველოში კაცი არჩევნებზე მიდის არა იმდენად იმისთვის, რომ ვინმეს მისცეს ხმა, რამდენადაც იმისთვის, რომ მისი ბიულეტენი რომელიღაც გამოძლიავებულ პარტიას არ ჩაუთვალონ.

* * *

არ მიყვარს დასვენების დღეები.

ის-ის არის დადგები იმის გუნებაზე, რომ ფინჯანი ყავით ხელში ბუხრის წინ საქანელა სავარძელში ჩაჯდე და... უცებ გაირკვევა, რომ არც ბუხარი გაქვს, არც სავარძელი და არც თუნდაც ფინჯანი ყავა...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.